გაზეთი ბევრის, „ვერსიას" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№7 (902) 3 - 4 თებერვალი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## ექსკლუზიური ინტერვიუ ღარიბაშვილის ეკონომიკურ მრჩეველთან

რომან ჩხენკელი ლარის კურსის რყევას საგანგაშოდ არ მიიჩნევს, პერსპექტივაში ლარის კურსის გამყარებას ვარაუდობს და ინვესტიციების ზრდას 2014 წლიდან ელის



გვ.3-4

## ფრთხილად, ძიძა!



გვ.11

როგორ თაღლითობენ მერი პოპინსის ქართველი კოლეგები

## ლაშა ნაცვლიშვილისა და გია ხუხაშვილის 20-მილიონიანი სკანდალი



როგორ დაალაგა გია უდესიანმა „ოცნებასთან" ურთიერთობა და რატომ ფიგურირებს საქმეში არჩილ გეგენავა



გვ.6

## მუხროვანის ამბოხის სკანდალური კადრები დათა ახალაიამ გაავრცელა?

## „საბას" დაწვის პოლიტიკური ვერსიები



პაატა კაჭარავა ხანძრის სავარაუდო შემკვეთებსა და დივერსიის ავტორებს ასახელებს

გვ.7

# ლენტეხის საკრებულოს თავმჯდომარე ყოფილ გამგებელს დაჭერით ემუქრება?!

რუსუდან შელია
557-100-768

**2013 წლის 23 აგვისტოს „ქართული ოცნების“ მიერ დანიშნული ლენტეხის რაიონის გამგებელი ზაზა ლიპარტელიანი, საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე, კანონის არარსებული მუხლის საფუძველზე, საკრებულოს მთვრალმა წარმომადგენლებმა გადააყენეს. ლენტეხის რაიონულ სასამართლომ ეს გადაწყვეტილება გააბათილა და ლიპარტელიანი გამგებლის თანამდებობაზე აღადგინა. საკრებულომ სასამართლოს გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა და საწადელს მიაღწია კიდეც. რატომ იმუქრება ლენტეხის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე და როგორ აპირებს სამართლიანობის აღდგენას? — „ვერსიას“ ზაზა ლიპარტელიანი ესაუბრა.**

— საკრებულოს წინააღმდეგ ჩვენი სარჩელი ლენტეხის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა, თუმცა, მოგვიანებით, საკრებულომ სააპელაციო სასამართლოს მიმართა, სადაც მოსამართლე გოჩა აბუსერიძემ ჩემს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. პარადოქსია, თუმცა სასამართლო პროცესზე ლენტეხის საკრებულოს თავმჯდომარე აცხადებდა, ლიპარტელიანის მიმართ კანონი დავარღვიეო... არ ვიცი, მოსამართლე მოისყიდეს თუ რა მოხდა, მაგრამ საკრებულოს თავმჯდომარის სახელით შემომითვალეს, ქუთაისის სასამართლოში ტყუილად ნუ ჩახვალ, საქმე უკვე ჩაწყობილი გვაქვსო.

**— ამ განცხადების დადასტურება შეგიძლიათ?**

— რა თქმა უნდა, ამას ისინი დაადასტურებენ, ვინც ჩემთან საკრებულოს თავმჯდომარის სახელით მოვიდა. პარალელურად, მთავარ პროკურატურას საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ჩადენილ სამ უკანონობასთან დაკავშირებით მივმართე. კერძოდ, მან ლენტეხის გამგებლად ხუტა ფურელიანი ისე დანიშნა, საკრებულოს წევრის სტატუსი არ მოუხსნა. პროკურატურას, ასევე მივაწოდე ინფორმაცია ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით. საკრებულოს თავმჯდომარემ ჩემი გამგებლობის პერიოდში გათავისუფლებული ადამიანებისთვის საატესტაციო კომისია შექმნა და მათ საკმაოდ მაღალი ხელფასები დაუნიშნა. არადა, აღნიშნულ კომისიას ერთი წლის განმავლობაში არაფერი უკეთებია. რაც მთავარია, ვალოდია ქურასბედიანი ინდმეწარმეა, რაც კანონს ეწინააღმდეგება. ამბროლაურის პროკურორმა, ლევან ზალკალიანმა თქვა, თუ საკრებულოს თავმჯდომარეს ამ სამი ფაქტიდან ერთ-ერთ მაინც დავუმტკიცებთ, საქმე შავად ექნებაო, მოგვიანებით კი საქმის განხილვაზე უარი განაცხადა და ცაგერის პროკურორს გადააბარა, რომელმაც მომწერა, სამი პუნქტიდან ერთი კანონდარღვევაც ვერ აღმოვაჩინეთო... ამ ადამიანების უკან უხილავი კორუმპირებული კლანი დგას, რომელიც რაიონში ყველას მართავს, მათ შორის ვალოდია ქურასბედიანსაც.

**— უხილავ კლანში რაიონის მაჟორიტარ გოგი ლიპარტელიანს გულისხმობთ?**

— გამოიკვეთა, რომ ასეა. მათ ბრძანებებს ასრულებს თემურ ჩანქსელიანიც, რომელიც არჩევნებამდე ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი იყო და „ქართული ოცნების“ აქტივისტებს ეუბნებოდა, 2 ოქტომბერს ყველას ციხეში ჩაგსვამთო. დღეს კი ეს ადამიანი მთელ რაიონს განაგებს. მეტიც, საკრებულოს თავმჯდომარე დამემუქრა, ქუთაისის სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში არ გაასაჩივრო და რაიონიდან წადი, წინააღმდეგ შემთხვევაში, შენ შვილებსა და ნათესავებს საფრთხე შეექმნებათო.

**— ვალოდია ქურასბედიანი პირადად დაგემუქრათ?**

— ახალი გამგებლის, ხუტა ფურელიანისა და ვალოდია ქურასბედიანის სახელით ჩემთან მოვიდნენ პირები, რომლებმაც ასე მითხრეს, ზაზა ლიპარტელიანო, გაჩერდი თორემ დაგიჭერენო. რისთვის უნდა დამიჭირონ? დასაჭერი რომ ვიყო, აქამდე უნდა დავეკავებინე. მუქარის მიუხედავად, ბრძოლას მანამ გავაგრძელებ, სანამ სამართლიანობა არ იზეიმებს. როცა ღირსებას გილახავენ, ვერ გაჩერდები, თან ჩემს უკან ხალხი დგას, რომელიც ლენტეხში სამართლიანობის დამკვიდრებაზეა ორიენტირებული... გუბერნატორი პაპუნა მარგველიძე ლენტეხში არსებული პროცესებით დაინტერესდა და რაიონშიც ჩამოვიდა, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას შეხვდა, რომლებმაც საკრებულოში არსებული ვითარება დეტალურად გააცნეს. ჯერჯერობით, გუბერნატორი პროცესებს შორიდან აკვირდება, თუმცა იმედი მაქვს, სამართლიანობას ისიც მხარს დაუჭერს.

## ვერსიანიუსი

### ზვიად ძიძიგური: „საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესზე კამათი პანდორას ყუთის გახსნას ნიშნავს“



ეს განცხადება საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელმა, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ზვიად ძიძიგურმა გააკეთა.

როგორც ძიძიგური განმარტავს, ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში, ამ ეტაპზე, მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჭრილში განხორციელდება. სხვა ძირეული ცვლილებების შეტანა კი, არჩევნებამდე დარჩენილ დროში არ იგეგმება.

მმართველი გუნდის ერთ-ერთი ლიდერის ცნობით, ადგილობრივი არჩევნებისთვის ცვლილებები საარჩევნო სისტემის მიმართულებით შევა. კერძოდ, რჩება ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქები, თუმცა საკრებულოებში პროპორციული წარმომადგენლობის თანაფარდობა გაიზრდება. პროპორციული საარჩევნო ბარიერი არსებული 5%-დან 4%-მდე ჩამოვა. რაც შეეხება მერებისა და გამგებლების არჩევის ბარიერს, ამასთან დაკავშირებით, მმართველი გუნდი ცნობილ პოზიციაზე რჩება, რომლის მიხედვით, მერები 40%-იანი, ხოლო გამგებლები 33%-იანი ბარიერით აირჩევიან.

**„არასაპარლამენტო ოპოზიციის შეთავაზებაა, მრავალმანდატიანი მაჟორიტარული ოლქების ჩამოყალიბება, რაც მმართველი გუნდის მხრიდან გაზიარებული არ არის. არჩევნები ერთმანდატიანი საარჩევნო სისტემით ჩატარდება და საკრებულოებში პროპორციული წარმომადგენლობის თანაფარდობა გაიზრდება. ვერ დავტოვებთ დეპუტატის გარეშე ძალიან ბევრ პატარა სოფელს, რომელსაც ციფრების მიხედვით თუ შევხედავთ, სხვა ოლქთან შედარებით, პატარაა, მაგრამ ხშირად, გვაქვს საზღვრისპირა სოფლები, სოფლები, რომელსაც მეტი ყურადღება სჭირდება და არა — უყურადღებოდ დატოვება... თვითმმართველობის რეფორმა ერთჯერადი აქტი კი არა, მრავალწლიანი პროცესია, რომელიც თანდათანობით მეტ გაუმჯობესებას მოიტანს“,** — აცხადებს ძიძიგური.

რაც შეეხება საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, რაც, თავის მხრივ, ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესს, საარჩევნო დავების თემასა და სხვა მნიშვნელოვან საარჩევნო საკითხებს ეხება, ძიძიგური ამ კონტექსტში სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაზე ამახვილებს ყურადღებას.

**„საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესზე კამათი პანდორას ყუთის გახსნას ნიშნავს. სრულიად შეუძლებელია, ეს თვითმმართველობის არჩევნების ჭრილში მოესწროს. ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესთან, საარჩევნო დავებთან, პარტიათა დაფინანსების საკითხთან დაკავშირებული საკითხების გადახედვა ამ არჩევნებისთვის შეუძლებელია. პარლამენტში მხოლოდ იმ ნაწილის ინიცირება მოხდება, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს უკავშირდება. საარჩევნო კოდექსის რეფორმირების ახლა დაწყება არასწორი იქნება, რადგან შეიძლება გარკვეული საკითხები საკონსტიტუციო კომისიამ შეცვალოს. სჯობს, დაველოდოთ, რა გადაწყვეტილებებს მიიღებს საკონსტიტუციო კომისია, როგორი სისტემით ჩატარდება საპარლამენტო არჩევნები, ადმინისტრაციაზეც ამ კომისიამ იმსჯელოს და ამის შემდეგ მოვიყვანოთ შესაბამისობაში საარჩევნო კოდექსი“,** — აცხადებს ძიძიგური და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადგილობრივი არჩევნებისთვის ხელისუფლებამ, მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევის მხრივ, რევოლუციური გადაწყვეტილება მიიღო, რაც წინა ხელისუფლებამ ვერ გაბედა:

**„მერებისა და გამგებლების არჩევნები მთელი ქვეყნის მასშტაბით ტარდება. ხუთ თვითმმართველ ქალაქს ემატება შვიდი და გვექნება 12 ქალაქი, სადაც მერები პირდაპირი წესით, 40%-იანი ბარიერით აირჩევიან. თუ ვინმეს 40%-იანი ბარიერი მცირედ მიაჩნია, მწარედ ცდება. ხელისუფლებას პრობლემები, რომელიც თვითმმართველობის მხრივაა, ბევრი კუთხით აქვს დასანახი, ამიტომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული ვარიანტი ოპტიმალურია. რეფორმა, რომელსაც ვატარებთ, ძალზე საფრთხილოა, რადგან საქართველოში მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევა პირველად ხდება და ამიტომ ჩაიდო დაზღვევის მექანიზმები, რაც მათ გადაყენებას უკავშირდება, რათა გაუთვალისწინებელი შემთხვევის დროს, რაღაც ტიპის ღონისძიებების განხორციელება შეგვეძლოს“.**

ადგილობრივი არჩევნებისთვის არასაპარლამენტო ოპოზიცია საარჩევნო სისტემის მიმართულებით მმართველ გუნდს 50%-იან ბარიერს, ხოლო საკრებულოებთან მიმართებით, მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებსა და პროპორციულ წარმომადგენლობას სთავაზობს. მისი შეთავაზებები ასევე ეხება საარჩევნო სიებს, ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესს, წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ საკითხებს, დავების თემას.

*„ინტერპრესნიუსი“*



### შსს-ში პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერები განადგურდა

რამდენიმე დღის წინ, კერძოდ, 31 იანვარს შსს-ში პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების ორი დისკი განადგურდა. არსებული ინფორმაციით, დისკებზე არსებული ვიდეომასალის ძირითადი ნაწილი ყოფილი ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკოსებსა და თანამდებობის პირებს, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე საზოგადოების ცნობილ წარმომადგენლებს, სამოქალაქო აქტივისტებს, სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციის თანამშრომლებსა და საჯარო მოხელეებს ეხებოდა. როგორც შსს-ში ამბობენ, ეს მასალები ხასიათდებოდა უპრეცედენტო მასშტაბით და სისტემური დანაშაულის არსებობაზე მიუთითებს.

უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითმა კომისიამ, რომელმაც ბოლო სხდომა 31 იანვარს გამართა, მიიღო გადაწყვეტილება, მასალის დიდი ნაწილი, გამოძიების დაწყების მიზნით, გადაიგზავნოს საქართველოს მთავარ პროკურატურაში. ამასთან, მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის წევრებმა განიხილეს და მოიწონეს პირადი ცხოვრების პატივისცემისა და ხელშეუხებლობის დაცვის მიზნით შემუშავებული კანონპროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“.

აქვე შეგახსენებთ, რომ უკანონო თვალთვალის გზით მოპოვებული პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერების 110 კომპაქტდისკი (144 ფალი, 181 საათი) 2013 წლის 5 სექტემბერსაც გაანადგურეს.

*„ვერსიანიუსი“*

### ბათუმში მეხუთე სართულიდან ქალი გადმოვარდა

ბათუმში, გორგილაძის ქ. №42-ში, საცხოვრებელი კორპუსის მეხუთე სართულიდან გადმოვარდნილი 50 წლამდე ასაკის თამარ ძაგნიძე ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მამუკა თურმანიძე აცხადებს, ტრაგედიის გამომწვევი მიზეზები ჯერჯერობით უცნობია.

*„ინტერპრესნიუსი“*




### თბილისში 16 წლის გოგონას ცხედარი იპოვეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, შემთხვევა 31-ე ქარხნის მიმდებარე ტერიტორიასთან მოხდა.

მათივე ცნობით, მოკლულ მარიამ ჩ-ს, წინასწარი დათვალიერებისას, ძალადობის კვალი არ აღენიშნებოდა, თუმცა გარდაცვალების ზუსტი მიზეზის დასადგენად ექსპერტიზა უკვე დაინიშნა.

მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე 115-ე მუხლით აღიძრა, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

*„ინტერპრესნიუსი“*



# ექსკლუზიური ინტერვიუ ირაკლი ღარიბაშვილის ეკონომიკურ მრჩეველთან

## რომან ჩხენკელი ლარის კურსის რყევას საგანგაშოდ არ მიიჩნევს, პერსპექტივაში ლარის კურსის გამყარებას ვარაუდობს და ინვესტიციების ზრდას 2014 წლიდან ელის

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით შექმნილ ეკონომიკურ საბჭოს რომან ჩხენკელი უხელმძღვანელებს, რომელსაც საჯარო სამსახურში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, თუმცა ოპოზიციას სულ არ აინტერესებს არც მისი პროფესიონალიზმი და არც ის, რომ 2012 წლის არჩევნების შემდეგ, გარდამავალ ეტაპზე, ქვეყანას პრობლემები სწორედ ეკონომიკაში შეექმნა და კერძო საკუთრების ხელყოფის, ელიტური კორუფციისა და ნაციონალური ხელისუფლების სხვა უამრავი დანაშაულის ფაქტიც სწორედ ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებაზე დღეს ახდენს გავლენას. ამ საბჭოს შექმნისთანავე მთავარი მესიჯი იყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რომან ჩხენკელი ქართუ ბანკის გაკოტრების სქემის მონაწილეა და 15-ათასიანი გირაოთი გაათავისუფლა სასამართლომ. „ვერსიამ“ ფაქტის გადამოწმება და დეტალების დაზუსტება სცადა და გაირკვა, რომ იმ პერიოდში რომან ჩხენკელი ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის უფროსი იყო, 2013 წლის 20 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლომ, აღკვეთის სახით, 15 000 ლარის გირაო შეუფარდა და გაათავისუფლა. სხვათა შორის, „ვერსია“ ქართუ ბანკის გაკოტრების საქმეს ჯერ კიდევ 2012 წლის არჩევნებამდე აქტიურად აშუქებდა. სქემაში ჩხენკელის გვარი ნამდვილად ფიგურირებს. ალბათ, ასე რომ არ ყოფილიყო, გასაკვირი იქნებოდა და უფრო მეტ ეჭვსა და ბრალდებას გამოიწვევდა. სხვათა შორის, გამოძიებამ ჩხენკელთან მიმართებაში ყველა დეტალი გაარკვია, არ დადასტურდა მისი ამ საქმის ორგანიზებაში მონაწილეობა და დღეს კითხვები მის წინააღმდეგ აღარ არსებობს, რაც შეეხება გირაოს, „ვერსიის“ ინფორმაციით, პროკურატურამ ნამდვილად მოითხოვა 15 000 ლარი, გირაოს სახით, თუმცა ამ თანხის სანაცვლოდ, გაკეთდა ჩხენკელის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა. გადამოწმებული ინფორმაციით, დღეს ყველა ეს ბრალდება გაუქმებულია და რომან ჩხენკელს სახელმწიფოს წინაშე არანაირი ვალდებულება არ აქვს. „ვერსია“ ამ საკითხზე თავად რომან ჩხენკელსაც ესაუბრა, რომელმაც, ფაქტობრივად, დაადასტურა ჩვენს ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია და განაცხადა: „შემიძლია, გითხრათ, იმ პერიოდში შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის უფროსი ვიყავი, ბუნებრივია, სამართალდამცავებს კონკრეტული კითხვები ჰქონდათ ჩემთან. როცა სისხლის სამართლის საქმე აღძრულია და სასამართლო პროცესი მიმდინარეობს, მას პროცედურები აქვს და გარკვეული ქმედებები უნდა განხორციელდეს, თუმცა დღეს ეს თემა უკვე ამოწურულია“. ამ თემით „ვერსია“ მხოლოდ იმიტომ დაინტერესდა, რომ კვირის სკანდალად აქციეს, თორემ რომან ჩხენკელთან ექსკლუზიურ ინტერვიუში ბევრად საინტერესო საკითხები გავარკვიეთ — კერძოდ, რა ფუნქცია აქვს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შექმნილ ეკონომიკურ საბჭოს და რა ტიპის რჩევებით შემოიფარგლება ამ საბჭოს ხელმძღვანელი, რატომ ეცემა ლარის კურსი და რატომ ძვირდება პროდუქტი, ბოლოს და ბოლოს, როდის დაიწყება ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების პროცესი... ქართუს და სხვა, მნიშვნელოვან ეკონომიკურ საკითხებზე, „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში რომან ჩხენკელი გვესაუბრება.**

**— ბატონო რომან, კონკრეტულად, რა ტიპის ეკონომიკურ რჩევებს მისცემთ პრემიერ-მინისტრს და რა არის ეკონომიკური საბჭოს ფუნქცია?**

— ეკონომიკური საბჭო პრემიერთან არსებული სათათბირო ორგანოა, რომელიც, ძირითადად, საბჭოს მუდმივი წევრების შეკრებასა და სხვადასხვა აქტუალური საკითხის განხილვას უწევს ორგანიზებას. დებულებით განსაზღვრულია საბჭოს მუდმივი წევრები, რომლებიც სხდომას ხმის უფლებით ესწრებიან, ვგულისხმობ ეკონომიკური ბლოკის სამინისტროებს: ფინანსთა, ეკონომიკის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობისა და ენერგეტიკის სამინისტროებს. საბჭოს წევრები არიან მსხვილი სახელმწიფო შპს-ები — საქართველოს რკინიგზა და ნავთობისა და გაზის საერთაშორისო კორპორაცია, თუმცა საბჭო შეზღუდული არ არის, მაგალითად, საკუთარი გადაწყვეტილების მიხედვით, პრემიერს განათლების ან შინაგან საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლების მოწვევაც შეუძლია, თუ რა თქმა უნდა, განსახილველი საკითხები ეკონომიკას ეხება.

**— საკმაოდ რთულ პირობებში უწევს ახალ ხელისუფლებას ქვეყნის მართვა, რადგან ეკონომიკური მდგომარეობა არც ისე სახარბიელოა. პოლიტიკური ოპონენტები ბევრს საუბრობენ ინვესტიციების რაოდენობის შემცირებაზე, როგორ აპირებთ ამ ყველაფრის მოგვარებას, რას ურჩევთ პრემიერ-მინისტრს ან რა ნაბიჯები უნდა გადადგას მთავრობამ ამ მიმართულებით?**

— ზოგადად, სტატისტიკა რთული საკითხია, რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორი კუთხით მიუდგებით ამა თუ იმ ციფრს ან როგორ ანალიზს გააკეთებთ. საერთო მაჩვენებლებით ანუ საერთო ჯამური პარამეტრებით, ძალიან საინტერესო მონაცემები გვაქვს იმპორტ-ექსპორტთან მიმართებაში. 2013 წელს იმპორტი უმნიშვნელოდ — 0.4%-ით გაიზარდა, ხოლო ექსპორტის ზრდაა 22%-ით. საკმაოდ მნიშვნელოვანი ციფრებია, რაც, რეალურად, რამდენიმე ასეულ მილიონ ლარს ნიშნავს. რაც შეეხება ჯამურ ეკონომიკურ მაჩვენებელს ბიუჯეტთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი გამოცოცხლებაა 2013 წლის შემოდგომიდან. 2013 წლის ბოლო თვეებში, ეკონომიკური ზრდა 8%-ს აღემატება. მართალია, 2014 წლის იანვრის მაჩვენებლები თებერვლის დასაწყისში გვეცოდინება, მაგრამ აქაც დამაიმედებელი ციფრებია. თუ გრძელვადიან, ბოლო სამი წლის ანალიზს გავაკეთებთ, 2012 და 2013 წლის იანვართან შედარებით, 2014 წლის იანვარში, საბიუჯეტო შემოსავლები საგრძნობლად გაიზარდა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და დღეის მდგომარეობით, 70 000 000 ლარს აღემატება. ეს ეკონომიკურ აქტივობაზეც აისახება და ვფიქრობ, 2014 წელი, საკმაოდ საინტერესო და კარგი იქნება.

**— გასაგებია, რომ ქვეყანა ნელ-ნელა ძალას იკრებს, რაც მთავარია, საარჩევნო ტალღამაც გადაიარა და, ალბათ, ინვესტიციებიც გაიზრდება. თუ არის ინვესტორების აქტივობა?**

— ერთ-ერთი პირველი ინიციატივა, რომელიც საბჭოს წლევანდელ სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა გააჟღერა, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, სპეციალური ჯგუფის შექმნა იყო. ამ ჯგუფში მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, საპარლამენტო მდივანი შალვა თადუმაძე, მე და მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილე ნინო კობახიძე შევდივართ და ჩვენ-ჩვენი მიმართულებებით ვიმუშავებთ. მიმდინარე კვირაში, საკმაოდ ინტენსიურ შეხვედრებს ვმართავთ საბჭოში შემავალი ეკონომიკური პროფილის სამინისტროებთან. ძალიან მოკლე დროში გვინდა მოვახდინოთ პრობლემების იდენტიფიცირება და ამიტომ ინტენსიური შეხვედრები გვაქვს დაგეგმილი. უკვე ყველა მსხვილ ბიზნესასოციაციას დავუკავშირდით, რომ მომავალი კვირიდან, ბიზნესის წარმომადგენლებსაც შევხვდეთ, რათა მათი პოზიციებიც მოვისმინოთ და გავიგოთ, რა არის მათთვის ხელშემშლელი ფაქტორები. შესაბამისად, პირველი ეტაპი პრობლემის იდენტიფიცირებაა, შემდეგ უკვე ამ პრობლემის გადაჭრაზე ვიმუშავებთ. ძალიან მალე, საბჭო კონკრეტული, ხელშემშლელი ფაქტორების გამოსწორების გზების პაკეტს შექმნის, უკვე გაცხადებული სამთავრობო პოლიტიკის ფარგლებში, რათა მთავრობა გეგმაზომიერად და სტაბილურად ახორციელებდეს დასახულ კურსს. ეს არ უნდა იყოს ფრაგმენტულად ამოგლეჯილი და თემატურად მიბმული გადაწყვეტილებები. ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, ბიზნესი ვითარდება მხოლოდ და მხოლოდ სტაბილურ გარემოში.

*დასასრული მე-4 გვერდზე*



## ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენ აბსოლუტურად შევცვალეთ მიდგომა რუსეთთან!“

**„როდესაც ქვეყანას სათავეში ახალი ხელისუფლება ჩაუდგა, ჩვენ აბსოლუტურად შევცვალეთ ჩვენი მიდგომა რუსეთთან“,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მიუნხენის საერთაშორისო უსაფრთხოების კონფერენციის მონაწილეებისადმი მიმართვისას განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოს წინა პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა სპეციალური წარმომადგენელიც დანიშნა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, გაუმჯობესდა ურთიერთობები, პირველ რიგში, კულტურისა და ვაჭრობის სფეროში.

**„რუსეთი ნელ-ნელა ხსნის თავის ბაზარს ჩვენი პროდუქციისთვის. რუსეთმა მოხსნა ემბარგო ზოგიერთ პროდუქციაზე და ეს ერთობ დადებითად მოქმედებს ჩვენს ეკონომიკაზე“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, მიუხედავად საქართველოს ძალისხმევისა, **„შარშან რიგი პროვოკაციების მოწმეებიც გავხდით“.**

**„ეს ართულებს ჩვენს კეთილ სურვილსა და სწრაფვას ურთიერთობების გაუმჯობესების ასპარეზზე. ის მავთულხლართები და ხელოვნური საზღვრები პრობლემებს უქმნის ჩვენს მოქალაქეებს“,** — განაცხადა საქართველოს პრემიერმა.

აღსანიშნავია, რომ მიუნხენის კონფერენციის ფარგლებში, საქართველოს პრემიერმა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართა, მათ შორის, ამერიკელი სენატორებისა და კონგრესმენების გაფართოებულ ჯგუფთან, რომელსაც სენატორი ჯონ მაკკეინი ხელმძღვანელობს.

მხარეებმა განიხილეს აშშ-საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები, ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე მიღწეული პროგრესი. საუბარი შეეხო 2014 წელს დაგეგმილ ნატო-ს სამიტისა და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებულ საკითხებს. შეხვედრაზე ხაზი გაესვა ამ მიმართულებით შეერთებული შტატების მხარდაჭერას და აღნიშნა აშშ-სა და საქართველოს შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობა.

მხარეებმა ასევე ისაუბრეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ რთულ ვითარებაზე.

გაფართოებულ შეხვედრას საქართველოს თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებიც დაესწრნენ.

*„ინტერპრესნიუსი“*



## მიხეილ სააკაშვილი: „თავი გამანებეთ!“

**„საერთოდ, პოლიტიკაში, ძალიან გთხოვთ, ნუ ჩამრევთ“,** — ასე უპასუხა საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა მუხროვანის სპეცოპერაციის დაგეგმვის ამსახველ ვიდეოსთან დაკავშირებით ჟურნალისტების კითხვას.

**„საკმარისი პოლიტიკა მქონდა ცხოვრებაში იმისთვის, რომ გამანებოთ თავი ამ თემაზე მაინც. რაც ხდება აქ, ბევრად მნიშვნელვანია, ვიდრე ყველანაირი ჩვენი ადგილობრივი რაღაცები“,** — მიმართა სააკაშვილმა ჟურნალისტებს.

მიხეილ სააკაშვილი მიუნხენში იმყოფებოდა, სადაც უსაფრთხოების ყოველწლიური კონფერენცია გაიმართა. მიუნხენში, ასევე, იმყოფებოდა საქართველოს დელეგაცია პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით.

*„ინტერპრესნიუსი“*



## კიევში საქართველოს მოქალაქე დააკავეს

უკრაინის მილიციამ კიევში ავტომობილის დაწვაში ეჭვმიტანილი საქართველოს მოქალაქე დააკავა. როგორც ადგილობრივი მედია აუწყებს, ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

**„მილიცია არ გამორიცხავს, რომ კიევში ბოლო დღეებში ავტომანქანებს მასობრივი არეულობის მონაწილეები წვავდნენ და ყოველ დამწვარ ერთ მანქანაზე დამნაშავეებს 300 უკრაინულ გრივნას პირდებოდნენ“,** — აცხადებენ შს სამინისტროში.

მილიციის მონაცემებით, ეჭვმიტანილი ვინოგრადარის მასივში დააკავეს.

**„პატრულის დანახვისას, თავდამსხმელებმა გაქცევა სცადეს, თუმცა ერთ-ერთის დაკავება მოხერხდა. შემოწმების შემდეგ, ახალგაზრდა მამაკაცს აღმოაჩნდა პლასტმასის ორი ბოთლი, რომელშიც საწვავი იყო“,** — ნათქვამია მილიციის განცხადებაში.

მათივე ინფორმაციით, დაკავებულმა აღიარა, რომ მას და მის მეგობარს, რომელიც ამჟამად ძებნაშია, გადასცეს სია, სადაც დასაწვავი ავტომანქანების ჩამონათვალი იყო.

**„ახალგაზრდა მამაკაცმა ასევე აღნიშნა, რომ 26 წლისაა და საქართველოს მოქალაქეა, ხოლო უკრაინაში სამუშაოს საძებნად, დაახლოებით, 2 თვის წინ ჩავიდა. გამომდინარე იქიდან, რომ დაკავებულს არ აღმოაჩნდა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მილიცია მის ვინაობას ადგენს“,** — ნათქვამია მილიციის განცხადებაში.

***„ინტერპრესნიუსი“***



## ანზორ ჩუბინიძე სდსს-ს ხელმძღვანელის თანამდებობაზე შემცვლელის შერჩევამდე დარჩება

როგორც ჩუბინიძემ განაცხადა, სავარაუდო შემცვლელის კანდიდატურა მისთვის ჯერ უცნობია. მისივე განმარტებით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მუშაობაში შეფერხებების თავიდან აცილების მიზნით, თანამდებობაზე შემცვლელის დასახელებამდე და მისთვის უფლებამოსილების გადაბარებამდე დარჩება.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსს პრემიერ-მინისტრი ნიშნავს. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოქმედი უფროსი ანზორ ჩუბინიძე თანამდებობას პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე ტოვებს. არსებული ინფორმაციით, მას ამ თანამდებობაზე გიორგი მღებრიშვილი შეცვლის, რომელიც, ამჟამად, სტრატეგიული ობიექტების დაცვის სამმართველოში მუშაობს.

***„ინტერპრესნიუსი“***

# ექსკლუზიური ინტერვიუ ირაკლი ღარიბაშვილის ეკონომიკურ მრჩეველთან

*მე-3 გვერდიდან*

როდესაც მას აქვს მთავრობის გრძელვადიანი ხედვა, როდესაც ბიზნესმა იცის, რომ კანონმდებლობა ინტენსიურად არ იცვლება, მას სტაბილურობის გრძელვადიანი შეგრძნება აქვს და გადაწყვეტილებებსაც უფრო სწრაფად იღებს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ინვესტორებსაც ეხება.

**— ოპონენტები და ექსპერტები ხელისუფლებას საყვედურობენ, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია არ აქვს, იქნება თუ არა ეს პაკეტი სწორედ ის სტრატეგია, სადაც მთავრობის ხედვები გაიწერება?**

— ამ ეტაპზე, ძალიან ინტენსიური განხილვა მიდის და ესეც პრემიერ-მინისტრის ინიციატივაა, ვგულისხმობ მთავრობის სტრატეგიას, რომელსაც, პირობითად, 20/20 ეწოდება. ესაა მთავრობის გრძელვადიანი სტრატეგიის ფორმირება 2020 წლისთვის. უახლოეს ხანში, მოკლევადიან სტრატეგიებად დავშლით, თუ რა უნდა გაკეთდეს წელს, თუნდაც უკვე არსებული და იდენტიფიცირებული პრობლემების სწრაფად გადაჭრის გზით და დაგროვილი პრობლემები დროში არ გაიწელოს. გვექნება საშუალოვადიანი სტრატეგიაც, რომელიც 2-3 წელზე გაიწერება და გრძელვადიანიც — 2020 წლისთვის.

**— ბიზნესის პრობლემური საკითხები ახსენეთ, მაგრამ უმთავრესი პრობლემა, რაც ბიზნესს აწუხებს, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის აღდგენაა. ეკონომიკის სამინისტრო კანონზე მუშაობს, მაგრამ პარლამენტში ჯერ არ შესულა, რა ნაბიჯებს დგამთ ამ მიმართულებით?**

— გეთანხმებით, ჩვენი ხედვაც ანალოგიურია, რადგან ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა უნდა არსებობდეს და იქნება კიდეც საქართველოში. სხვანაირად არ გამიგოთ, ამ კითხვას თავს არ ვარიდებ, მაგრამ ეკონომიკის საბჭო ახალი შექმნილია. ეკონომიკის მინისტრის მოადგილეებს უკვე შევხვდით, სადაც ერთ-ერთ საკითხად სწორედ ეს თემა განვიხილეთ. ვიცი, ეკონომიკის სამინისტროს უკვე აქვს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის პროექტი, რომელიც განიხილება და უახლოეს პერიოდში, ფართო მსჯელობის საგანი გახდება. პოზიცია ის არის, რომ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა იქნება!

**— ლარის კურსის რყევასთან დაკავშირებით, ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ნაციონალური მოძრაობის ეკონომიკური საბოტაჟია ხელისუფლების წინააღმდეგ, რადგან ლარის კურსის ცვლილება დოლართან მიმართებაში, ეროვნული ბანკის მიერ ხელოვნურადაა ინსპირირებული. პარალელურად, პროდუქტების ფასი 5-დან 15 თეთრის ფარგლებში გაიზარდა, რამდენად საგანგაშო ვითარებაა?**

— კონსპირაციასა და შეთქმულების თეორიებში ვერ ჩავერევი, მაგრამ მოდი, პროცესის განვითარებას მივადევნოთ თვალი: ზოგადად, დოლარის გამყარების ტენდენცია მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს. მაგალითად, მეზობელ თურქეთში, თურქულმა ლირამ 25%-იანი დევალვაცია განიცადა, არადა, ჩვენთან ლარის დევალვაცია წლიურ 7%-ს არ აღემატება. შესაბამისად, დოლარის გამყარების ტენდენცია გლობალურია, მხოლოდ სინგაპურისა და მსოფლიოს კიდევ რამდენიმე ქვეყნის სავალუტო კურსს არ განუცდია ცვლილება. არასწორია, თითქოს, მხოლოდ საქართველოში ხდება ასე, მით უმეტეს, ბოლო დროს, ამ მხრივ ცვლილება არ არის. თუ მარტივ ისტორიულ ანალიზს გავაკეთებთ, ასეთი პერიოდული მერყეობა, ლარის კურსს, გარკვეული ინტენსივობით ახასიათებს. ბოლოს ეს იყო 2010 წელს, როდესაც ერთ დღეს ლარის კურსმა 1.90-საც კი მიაღწია ანუ 1,77-დან დაეშვა და 1.88-ზე გაჩერდა, მერე ისევ უკან წამოვიდა. ამაში უცნაური და განსაკუთრებული არაფერია, ჩვეულებრივი პროცესია, რომელზეც გავლენას ახდენს მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური ვითარება. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ ეს პროცესი საგანგაშო არ არის, მით უმეტეს, მსოფლიო ბაზარზე იმპორტირებული პროდუქტის — შაქრის, მარცვლეულისა და საწვავის საერთაშორისო ფასი არ იზრდება. ბიზნესს ამასთან დაკავშირებით პრობლემა არ აქვს.

**— სამწუხაროდ, იქიდან გამომდინარე, რომ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა არ გვაქვს, ცალკეული, არაკეთილსინდისიერი იმპორტიორები სარგებლობენ ამ ვითარებით და მოსახლეობაში პანიკას ნიშნებს აჩენენ. მართალია, შაქრის, მარცვლეულისა და საწვავის საერთაშორისო ფასები არ იზრდება, მაგრამ საქართველოში ზუსტად ეს პროდუქტი გაძვირდა.**

— მეტ-ნაკლებად, პრობლემა შეექმნება მათ, რომლებსაც იპოთეკური სესხები აქვთ დოლარში, მაგრამ შემოსავალს ლარში იღებენ, რადგან ხარჯი გაეზარდათ. სხვა დანარჩენ შემთხვევაში, თუნდაც ბიზნესთან დაკავშირებით, რომლებიც იმპორტზე მუშაობენ, ლარის კურსის უმნიშვნელო ცვლილება პრობლემური არ არის. მეორე მხრივ, ექსპორტიორი კომპანიებისთვის, პირიქით, ძალიან წამახალისებელია, რადგან ეს პროცესი ადგილობრივ წარმოებას ხელს უწყობს. ექსპორტიორები პროდუქციას უცხოურ ვალუტაში ყიდიან და კონვერტაციის შემთხვევაში, უფრო მეტი ლარი რჩებათ. რაც შეეხება გრძელვადიან პერსპექტივას, რასაც მთავრობა ატარებს და რასაც ადგილობრივი წარმოების წახალისებას ვუწოდებთ, პირიქით, დამატებითი გარანტია იქნება შიდაბაზრისთვის, რომ მკვეთრი საგარეო რყევებისგან ჩვენი მოქალაქეები დაცულები იყვნენ.

**— თქვენი პოლიტიკური ოპონენტების ყბადაღებული თემაა — სად არის ის 160 საწარმო, რომელზეც ჯერ კიდევ ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი საუბრობდა. მართლაც, სად არის ეს საწარმოები?**

— რეალურად, ეს საწარმოები დაფინანსდა, ეტაპობრივად იხსნება და ძალიან საინტერესო პროექტია ახალი ბიზნესის წახალისების მიმართულებით. იმ გზებზე ვფიქრობთ, როგორ გახდეს ეს ყველაფერი ფართო აუდიტორიისთვის ცნობილი. სოფლის მეურნეობის სამინისტროში საკმაოდ კარგი შეხვედრა გვქონდა, საინტერესო პროექტები აქვთ გადამამუშავებელი საწარმოებისთვის. მეწარმე სულ რაღაც 10%-ით დააფინანსებს პროექტს, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო 40%-ით დაეხმარება და დანარჩენ 50%-ს, თანადაფინანსების პრინციპით, ბანკი დაუფინანსებს. ასეთი საინტერესო წამოწყება მნიშვნელოვანია, რათა ახალი საწარმოების შეიქმნას. ამ კუთხით, წელს ძალიან მნიშვნელოვანი ძვრები იქნება.

**— დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე გკითხავთ: გასაგებია, რომ ინვესტორები, ძირითადად, ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული პროექტებით ინტერესდებიან საქართველოში, მაგრამ რა ახალი კონტაქტები დამყარდა და რა სახის ინვესტიციებს უნდა ველოდეთ ქვეყანაში?**

— მართალი ბრძანდებით, მსხვილი ინვესტორები, ძირითადად, ჩვენი ბუნებრივი რესურსებით ინტერესდებიან. ენერგეტიკა და ინფრასტრუქტურა მომხიბვლელი დარგებია მსხვილი ინვესტიციებისთვის და პრემიერ-მინისტრსაც ამ მიმართულებით ჰქონდა შეხვედრები, თუმცა მნიშვნელოვანი იყო სხვა დიდ საწარმოებთან, მაგალითად, ფრანგულ კომპანიასთან შეხვედრა, რომელიც სამშენებლო ბიზნესით, ცემენტისა და ბეტონის წარმოებით დაინტერესდა. მრავალი კორპორაცია მზადაა, ინვესტიციების განხორციელება დაიწყოს საქართველოში. მიუნხენში პრემიერ-მინისტრის ვიზიტის ფარგლებში გერმანელმა ინვესტორებმაც გამოთქვეს ინტერესი საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით. სახელმწიფოს მიერ გაჟღერებული პოლიტიკა, რომ ინვესტიციების მოზიდვას შეუწყოს ხელი, მხოლოდ სიტყვიერი დეკლარირება არ იქნება, ეს კონკრეტულ ინსტიტუციონალურ, საკანონმდებლო ცვლილებებსა და პროცედურების გამარტივებაში გამოიხატება.

ვერსიანიუსი

## სამართალდამცავებმა პროსტიტუციის ხელშემწყობი სამი ქალბატონი დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, ახალციხისა და ასპინძის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე 1963 წელს დაბადებული ია ბ, 1965 წელს დაბადებული არუთუნ ი. და 1949 წელს დაბადებული ნაზი ნ. ამხილეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ სალომე ნ. დაბა ასპინძაში სასტუმროს ნომრებს, არუთინ ი. ქალაქ ახალციხეში აბანოს, ხოლო ახალციხის მცხოვრები ია ბ. საკუთარი საცხოვრებელი სახლის ოთახებს პროსტიტუციისათვის აქირავებდნენ.

გამოძიების ფარგლებში, აღნიშნულ დაწესებულებებში მომუშავე 15 ქალბატონი მოწმის სახით დაიკითხა.

გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 254-ე მუხლით).

***„ჯი-ეიჩ-ენი“***

# ლაშა ნაცვლიშვილისა და გია ხუხაშვილის 20-მილიონიანი სკანდალი



## როგორ დაალაგა გია უდესიანმა „ოცნებასთან“ ურთიერთობა და რატომ ფიგურირებს საქმეში არჩილ გეგენავა

გიორგი გიორგაძე

**ე.წ. მუხროვანის ამბოხზე სკანდალური ვიდეოჩანაწერის გავრცელების შემდეგ, სადაც შს ყოფილი მინისტრი, ამჟამად პატიმრობაში მყოფი ივანე მერაბიშვილი ორ გვამს ითხოვს. კულუარებში ითქვა, რომ ნაციონალების წინააღმდეგ კიდევ არაერთი კომპრომატი გამოქვეყნდება.**

ასევე, კულუარული ცნობით, ეს კომპრომატები „ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ნახა, მაგრამ მათ გასაჯაროებას გარკვეული ადამიანები ბლოკავდნენ. წყაროების ვერსიით, ერთ-ერთი ასეთი „დამბლოკავი“ მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი იყო, რომელმაც თანამდებობა პრემიერად ირაკლი ღარიბაშვილის დამტკიცების მერე დატოვა. საერთოდ, ამბობენ, რომ ღარიბაშვილსა და ნაცვლიშვილს ერთმანეთთან არცთუ კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ამ ვერსიას ისიც ამყარებს, რომ თავის დროზე, ნაცვლიშვილი შსს-ში ირაკლი ღარიბაშვილის მოადგილედ დაინიშნა, მაგრამ ეს პოსტი მალევე დატოვა და მთავარი პროკურორის მოადგილედ გადაიყვანეს.

გამორიცხული არ არის, რომ ვიღაცები ნაცვლიშვილისგან „განტევების ვაცს“ მიზანმიმართულად ქმნიან და ყველაფერი, რაც სამართლიანობის აღდგენის კუთხით „ოცნებას“ არ გამოუვიდა, უნდათ, მას დააბრალონ, მაგრამ „ვერსიის“ ინფორმატორები კონკრეტულ ფაქტებზე საუბრობენ.

მაშ ასე, ინფორმატორთა მონათხრობი ასეთია:

ნაციონალების ერთ-ერთ ყველაზე სასტიკ „ზონდერად“ შერაცხული გია უდესიანი, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ნაცვლიშვილსა და, შესაბამისად, პრემიერის ყოფილ მრჩეველს, გია ხუხაშვილზე „გასულა“. წყაროები ვერ აკონკრეტებენ, რა გზით მოახერხა უდესიანმა ამ ბატონებთან დაახლოება, მაგრამ ამას მნიშვნელობა, პრინციპში, არ აქვს.

ინფორმატორების ვერსიით, უდესიანმა მიიღო გარანტია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მის წინააღმდეგ მთავარ პროკურატურაში განცხადება შევიდოდა, ხელს არავინ ახლებდა. ამასთან, იმ ქონებასაც შეინარჩუნებდა, რომელიც წინა ხელისუფლების პირობებში სხვადასხვა ბიზნესმენს წაართვა. ყოველივე ეს, სულ რაღაც, 20 მილიონი დაუჯდებოდა. არსებული ვერსიით, ეს „სხადნიაკი“ 2013 წლის გაზაფხულზე შედგა. ამ დროს უდესიანის წინააღმდეგ პროკურატურაში საჩივარი უკვე შეტანილი ყოფილა, მაგრამ გამოძიება გაჩერებულა.

სხვათა შორის, სწორედ ამ პერიოდში ითქვა, რომ უდესიანმა თითქოს ყველაფერი მოინანია. ყოველ შემთხვევაში, 15 აპრილისთვის დაგეგმილი ნაციონალური მიტინგის წინ, ინტერნეტსივრცეში მისი სახელით განცხადება გავრცელდა, ყველაფერს ზეწოლით ვაკეთებდიო. ამავე პერიოდში „ნაციონალური აღსარებები“ მოდური იყო — მერაბიშვილის წინააღმდეგ განცხადება დათა ახალაიას სახელითაც გავრცელდა.

უდესიანის „ოცნებაში“ არაფორმალური პორტირების შესახებ ხმას მაშინდელი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის ყურამდეც მიუღწევია და ამაზე თავად უდესიანს უზრუნია — თურმე, ნუ იტყვით და, ყველგან ხმამაღლა ამბობდა, ახალ ხელისუფლებასთან ურთიერთობა დავალაგე და მამალ ბუზსაც ვერავინ ამიფრენსო.

ამასობაში, მათ, ვისაც უდესიანის წინააღმდეგ ძალოვან უწყებაში განცხადება ჰქონიათ შეტანილი, მოუხერხებიათ და საქმის კურსში პრემიერი ჩაუყენებიათ, ასე და ასეა საქმე, გამოძიება არ იწყებაო. ერთი სიტყვით, ივანიშვილი დაინტერესებულა, თუ რატომ არ დგებოდა დღის წესრიგში უდესიანის თემა. „ოცნების“ ნაცვლიშვილ-ხუხაშვილის ფრთას მისთვის აუხსნია, უდესიანი მნიშვნელოვანი მოწმეა, დაგვპირდა, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასა და ბურუსით მოცულ სხვა საქმეებზე, რომლებიც ნაციონალებმა ჩაიდინეს, ინფორმაციებს მოგვაწვდისო, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი ბლეფი იყო. სხვა შემთხვევაში, წელიწადნახევარია, „ოცნება“ ხელისუფლებაშია და ჟვანიასი თუ არა, რომელიმე სხვა გახმაურებული კრიმინალური საქმე მაინც გაიხსნებოდა.

„ვერსიის“ კონფიდენციალური წყაროს ვერსიით, მას შემდეგ, რაც პრემიერი შეიცვალა, ნაცვლიშვილ-ხუხაშვილს გარკვეული კითხვები დაუსვეს, მაგრამ ამ პოლიტიკურ წყვილს პასუხის გაცემა ერთ კითხვაზეც ვერ მოუხერხებია. შესაბამისად, საქმე გაწევ-გამოწევამდე მისულა და „ოცნების“ „სტაფს“ ხუხაშვილისთვის, რბილად რომ ვთქვათ, ყური აუწევია.

უდესიანისა და სხვა ნაციონალებისთვის სასათბურე პირობების შექმნის გარდა, კულუარებში ნაცვლიშვილ-ხუხაშვილის კიდევ ერთ ცოდვაზე დადის ხმა. ამბობენ, რომ მას შემდეგ, რაც გადადგომის საფრთხე იგრძნო, ნაცვლიშვილი თითქოს ერთ-ერთ ბიზნესმენს, კერძოდ, არჩილ გეგენავას დაუკავშირდა და „შეაწერა“, „პოპულის“ ერთი თვის შემოსავალი უნდა მიფეშქაშოო.

ახლა, მართლა ასე იყო თუ არა, ეშმაკმა იცის, მაგრამ ინფორმატორის დათვლით, „პოპულის“, მინიმუმ, 130 მაღაზიის ერთი თვის შემოსავალი, დაახლოებით, 60 მილიონია.

სხვათა შორის, არჩილ გეგენავა „ოცნებურ რაზბორკებში“ პირველად არ ფიგურირებს — თავის დროზე, ალბათ, გახსოვთ, თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიაზე „დაგნარი“ ატყდა, რომელსაც პრესკონფერენციაზე იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილიც გამოეხმაურა.

მაშინდელ პრესაში გავრცელებული ცნობით, ალასანია დუბაიში თითქოს მანდილოსანთან ერთად იმყოფებოდა, მაგრამ კულუარებში ყველამ იცის, რომ ეს „მანდილოსანი“, სინამდვილეში, არჩილ გეგენავა იყო ანუ კულუარული ვერსიით, ალასანია, ადრე თუ გვიან, ოპოზიციაში გადასვლას აპირებს და დამფინანსებელს ეძებს. დუბაიში გეგენავასაც ამ მიზნით შეხვდა.

რაც შეეხება ბიზნესმენ არჩილ გეგენავას, მას პოლიტიკაში ნაციონალური ბეგრაუნდი აქვს — 2008 წლის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დროს, ნაცმოძრაობის მხარდაჭერით, მთაწმინდის მაჟორიტარი გახდა.

გეგენავა სხვა სკანდალშიცაა გახვეული: რამდენიმე თვის წინ, მაღაზიათა ქსელი „პოპული“ დაიხურა. ქართულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, „პოპულის“ გაკოტრებისთანავე, გეგენავამ და მისმა პარტნიორებმა ახალი მაღაზიათა ქსელი დააფუძნეს, თუმცა ისე, რომ „პოპულის“ კონტრაქტორებს დავალიანება არ დაუფარეს. ამ საქმით, როგორც ამბობენ, ფინანსური სამსახურები არიან დაინტერესებულნი.

ისე, „პოპულის“ გაკოტრება და ზემოხსენებული 60 მილიონის ამბავი ერთმანეთს დროში ემთხვევა.



### პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ევროკავშირის ქვეყნების ელჩებს უმასპინძლა

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა რესტორან „ფუნიკულიორში“ საქართველოში აკრედიტებულ ევროკავშირის ელჩებთან სამუშაო სადილი გამართა.

როგორც „ჯი-ეიჩ-ენს“ პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან აცნობეს, სამუშაო ლანჩზე მარგველაშვილმა ევროპელ დიპლომატებთან ერთად ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებიდან-ხელმოწერამდე პერიოდში მოსამზადებელი სამუშაოები განიხილა, საუბარი ასევე შეეხო ევროკავშირის მხრიდან საქართველოსთვის შესაძლო დახმარების გამოყოფას, დეოკუპაციასთან დაკავშირებულ საკითხებს და იმ თემებს, რომლებიც საერთაშორისო გამოწვევების მიმართულებითაა აქტუალური.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებთან მათი ქვეყნების მხარდაჭერის მნიშვნელობაზე ისაუბრეს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე პერიოდში: **„რეგულარულად ვმართავთ შეხვედრებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებთან, იმ მნიშვნელოვანი მიზნიდან გამომდინარე, როგორიც ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაა. შეხვედრაზე განვიხილეთ მიმდინარე პროცესი, ვისაუბრეთ, რა ვალდებულებები და სამოქმედო გეგმა ექნება საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ“,** — განაცხადა მარგველაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებითვე, საუბარი ასევე შეეხო ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას, გიორგი მარგველაშვილმა კიდევ ერთხელ გამოხატა შეშფოთება 11-კილომეტრიანი სასაზღვრო ზოლის გაფართოებასთან დაკავშირებით, საქართველოს ტერიტორიაზე: **„შეხვედრაზე აღვნიშნეთ, რომ მსგავსი ტიპის საკითხებზე მსოფლიო თანამეგობრობამ მყისიერად უნდა გამოხატოს თავის პოზიცია“.**

როგორც ლიტვის ელჩმა, იონას პასლაუსკასმა განაცხადა, შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს ევროინტეგრაციის საკითხები: **„ევროპის დედაქალაქებსა და ბრიუსელში განწყობა ერთიანია და ცნობილია, რომ საქართველომ წელს ხელი უნდა მოაწეროს ასოცირების ხელშეკრულებას. საქართველომ უნდა განაგრძოს დაწყებული რეფორმები და ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც მნიშვნელოვანია ევროინსტიტუტებთან დაახლოების გზაზე“.**

სამუშაო სადილს, საქართველოს პრეზიდენტთან ერთად, ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკანიანი, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი, პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო ურთიერთობების საკითხებში ივანე მაჭავარიანი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ლაშა აბაშიძე ესწრებოდნენ.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

## ვერსიანიუსი

### პირველი თებერვლიდან ქართული სანომრენიშნიანი გადამზიდავებისთვის თურქეთში სატრანზიტო გადასახადი ამოქმედდა



თურქეთში ქართული სანომრენიშნიანი სატრანსპორტო საშუალებების შესვლისთვის, რომელიც სატრანზიტო გადაზიდვას ახორციელებს, გადასახადი 113 დოლარია.

სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ინფორმაციით, თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს 2014/89769977-Tiflis BE/4211730 ნოტის საფუძველზე, 2014 წლის

პირველი თებერვლიდან, თურქეთის რესპუბლიკის გადაწყვეტილებით, 113 აშშ დოლარის ან მისი ექვივალენტი თურქული ლირას ოდენობის გადასახადი დაწესდა, ქვეყანაში შესვლის და გამოსვლის დროს ცალ-ცალკე, როგორც საპასუხო ზომა მესამე ქვეყანაში სატრანზიტო გადაზიდვების განმახორციელებელი ცარიელი ან დატვირთული ქართული სანომრენიშნიანი სატრანსპორტო საშუალებებისთვის.

„ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენციის" (ECMT) ნებართვით გადასახადი დაწესებულია ქვეყანაში შესვლისა და გამოსვლის დროს ცალ-ცალკე.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*



# მუხროვანის ამბოხის სკანდალური კადრები დათა ახალაიამ გაავრცელა?

## კითხვები, რომლებიც ექსპერტ კახი კახიშვილს გამოძიებასთან აქვს

რუსუდან შელია
557-100-768

**მუხროვანის სატანკო ბატალიონის ტერიტორიაზე გადაღებული კადრების ირგვლივ საზოგადოების ვნებათაღელვა არ ცხრება — პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შს ყოფილი მინისტრის მიერ დაკვეთილ მკვლელობაზე საუბრობს, ნაციონალური მოძრაობა კი სახელმწიფო ინტერესების დაცვითა და ამბოხის აღკვეთით აპელირებს. და მაინც, რატომ ჩანან გავრცელებულ კადრებში ვანო მერაბიშვილთან ერთად, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, თბილისის მერი გიგი უგულავა, სოდ-ის ყოფილი ხელმძღვანელი დათა ახალაია, კონსტიტუციური უსაფრთხოების ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი კოდუა და რატომ იგეგმებოდა სპეცოპერაცია თავდაცვის მაშინდელი მინისტრის გარეშე, აგებს თუ არა კანონის წინაშე პასუხს კადრების გადამღები, რომელიც წლების განმავლობაში შესაძლო დანაშაულს მალავდა და ვის ინტერესებში იყო აღნიშნული ვიდეომასალის სოციალურ ქსელში გავრცელება? — „ვერსიის“ ამ კითხვებს ექსპერტი კახი კახიშვილი პასუხობს.**

— ის საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც მუხროვანში გადაღებული კადრების ირგვლივ აგორდა, გასაგებია, თუმცა ერთია, პოლიტიკური განცხადებები და მოქალაქეების მოთხოვნა ჭეშმარიტების დადგენასთან დაკავშირებით, მეორე — გამოძიების შედეგი, ვის მიუძღვის დანაშაული 2009 წელს მუხროვანის ბატალიონში მომხდარ მოვლენებში.

**— 2009 წლის 5 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით, მაშინდელი ოპოზიცია და ექსპერტთა ნაწილი, რომლებიც დღეს ხელისუფლებაში არიან, ნაციონალური მოძრაობის მიერ დადგმულ სპექტაკლზე საუბრობდა. რამდენიმე დღის წინ, კადრების გავრცელების შემდეგ კი აღნიშნეს, ამბოხის ჩასახშობად ვანო მერაბიშვილმა ორი გვამი მოითხოვაო. პოზიცია რატომ შეიცვალეს?**

— ჩვეულებრივი საუბრისას, შესაძლებელია, ამბოხსა და სახელმწიფო გადატრიალებაზე ისაუბრო, მაგრამ მოვლენებს ზუსტი კვალიფიკაცია გამოძიებამ უნდა მიანიჭოს. არ გამოვრიცხავ, მაშინ სწორედ ამ მიზნით საუბრობდნენ, რომ სახელმწიფო გადატრიალება ან ამბოხი არ მზადდებოდა. პირადად მე, საქმის მასალებს არ ვიცნობ, მაგრამ 2009 წლის მოვლენების არაზუსტი კვალიფიკაცია ხდება. მეტიც, არსებობს ევროპის საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც, მასში მონაწილე პირებს პოლიტიკური სტატუსი მიენიჭათ. რეზოლუცია გულისხმობს, რომ, შესაძლოა, ადამიანმა დანაშაული მართლაც ჩაიდინა, მაგრამ იმის გამო, რომ მის წინააღმდეგ ხისტი და ტენდენციური გამოძიება წარიმართა, ამასთან, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, პოლიტიკური მოტივიდან გამომდინარე, არასათანადოდ ეპყრობოდნენ, პოლიტიკური პატიმრის სტატუსი მიენიჭა.

**— ანუ რეზოლუცია ადასტურებს, რომ მუხროვანის ამბოხის ბრალდებით გასამართლებულმა პირებმა სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაული რეალურად ჩაიდინეს?**

— ამ ადამიანების პოლიტიკური სტატუსი ჩემში ეჭვს არ იწვევს, უბრალოდ, შესაძლებელია, მათ გარკვეული ტიპის დანაშაული ჩაიდინეს, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პირობებში გამოძიება როგორ ტარდებოდა. ამ საქმის ირგვლივ უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა დაგროვდა, პასუხისმგებელი პირებიც განსხვავებულ განმარტებებს აკეთებენ, ამიტომ გამოძიების სწორი მიმართულებით წარმოება ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია — რა მოხდა სინამდვილეში და, რეალურად, მზადდებოდა თუ არა სამხედრო ამბოხი?

**— როცა სამხედრო პირები თავდაცვის მინისტრს არ ემორჩილებიან და თავადვე ადასტურებენ, რომ დაუმორჩილებლობით პოლიტიკური პროტესტი გამოხატეს, ეს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ამბოხი არ არის?**

— სამოქალაქო აზრი იურიდიული კვალიფიკაციისგან ყოველთვის განსხვავდება. სამართლებრივად, არსებობს გარემოება, როცა სამხედრო დაუმორჩილებლობა ამბოხად არ მიიჩნევა. მართალია, ნაციონალური მოძრაობა ტანკების დაქოქვაზე საუბრობს, მაგრამ, ჯერჯერობით, ეს არავის დაუმტკიცებია.

**— რატომ ინახებოდა ეს კადრი დღემდე და უნდა დადგეს თუ არა იმ პირის პასუხისმგებლობა, რომელიც წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის შესაძლო დანაშაულს მალავდა?**

— რა თქმა უნდა, გამოძიება რამდენიმე მონაკვეთით უნდა დაინტერესდეს: კონკრეტულად, რას გულისხმობს ვანო მერაბიშვილი, როცა სამხედრო პირებს მიმართავს, ორი გვამი მჭირდებაო, როგორ გაიგეს ეს ბრძანება მერაბიშვილზე სამსახურეობრივად დაქვემდებარებულმა პირებმა და როგორ შეასრულეს; მეორე მხრივ, უნდა დადგინდეს, რატომ ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა სამინისტრო სამხედრო უწყების სპეცოპერაციას და რა მიზნით იყვნენ მასში ჩართულნი



ისეთი ტიპის პოლიციური დანაყოფები, როგორიცაა სოდ-ი და კრიმინალური პოლიცია, რომელთა დებულებაში მსგავს ოპერაციებში მონაწილეობა გათვალისწინებული არ არის. ასევე, გამოძიებამ უნდა უპასუხოს, რატომ იმყოფებოდნენ დახურულ ობიექტზე სამოქალაქო პირები და ა.შ. ფაქტია, ეს ვიდეო სამოქალაქო პრესის წარმომადგენლებს არ გადაუღიათ, ამიტომ რა მიზნით აიტვირთა კადრები სოციალურ ქსელში და დანაშაულის დადგენის შემთხვევაში, რატომ იყო პროკურატურაში საქმე უძრავად, მით უმეტეს, მაშინ, როცა პარლამენტმა ამბოხისთვის გასამართლებული პირები პოლიტპატიმრებად სცნო? — ყველა კითხვა საგამოძიებო ორგანოებისგან ვრცელ და გასაგებ პასუხს მოითხოვს.

**— ხელისუფლების გარდა, მძიმე პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე, კადრების გავრცელება ვის ინტერესებში უნდა ყოფილიყო?**

— ცნობილია, რომ ხელისუფლების გადაბარების პერიოდში, შინაგან საქმეთა სამინისტროდან კარდების ნაწილი გაიტანეს, ამიტომ დაზუსტებით ვერ ვიტყვი, რომ ვიდეოჩანაწერის გავრცელება მხოლოდ ხელისუფლების ინტერესებში იყო, თან, შესაძლოა, ამ ეტაპზე ეს პროცესი „ქართული ოცნების“ წისქვილზე ასხამს წყალს, თუმცა, თუ აღნიშნულ საქმეზე ვანო მერაბიშვილის პასუხისმგებლობის საკითხი ვერ დადგა, ხელისუფლების მიმართ მწვავე კითხვები უფრო გამძაფრდება. ასე მოხდა, მაგალითად, ბაჩო ახალაიას შემთხვევაში, რომლის მიმართაც გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა ჭიანურდება.

**— ანუ ვანო მერაბიშვილის მაკომპრომეტირებელი ვიდეოჩანაწერი, შესაძლოა, თავად ნაციონალების შემოგდებულია?**

> **— ასეთი ტიპის კადრებთან წვდომა პოლიციის იმ თანამშრომლებს ჰქონდათ, რომელთა ნაწილი დღეს ძებნაშია, ზოგიც უმუშევარია, ნაწილი კი პოლიტიკურ პარტიაში მოღვაწეობს, ამიტომ არ გამოვრიცხავ, ვიდეო იმ ადამიანებმა ატვირთეს, რომლებიც ნაციონალურ მოძრაობაზე უყურადღებობის გამო განაწყენდნენ და მსგავსი მეთოდით მას თავი შეახსენეს.**

**— მაგალითად, დათა ახალაიამ, რომელიც ვანო მერაბიშვილს არცთუ დიდი ხნის წინ საჯაროდ დაუპირისპირდა?**

— კონკრეტულად, საუბარი მიჭირს, თუმცა დიდი ალბათობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, შესაძლოა, დათა ახალაიამ გაიტანა. ვიმეორებ, არ გამოვრიცხავ, კადრების გავრცელების მესიჯი ასეთი იყო — მოგვხედეთ, თორემ თქვენზე საკმაოდ ბევრი ინფორმაცია გვაქვს, ხელებს მხოლოდ ჩვენ ნუ გვაწმენდთო. ასე რომ, მსგავსი კადრების გავრცელებას მომავალშიც ველი.

**— თუ ამ ლოგიკით ვიმსჯელებთ, გავრცელებული კადრების საფუძველზე, ვანო მერაბიშვილთან ერთად, ბრალი დათა ახალაიას, გიგი უგულავასა და მაშინდელ სხვა მაღალჩინოსნებს ხომ უნდა დაუმძიმდეთ?**

— ბრალის დამძიმებამდე, გამოძიებამ სპეცოპერაციაში მონაწილე პირების როლი და ფუნქცია უნდა დაადგინოს. სამართლებრივად, ადგილზე ყოფნა დანაშაულს ნამდვილად არ ნიშნავს, მაგრამ ვინ რას აკეთებდა და რა ტიპის ბრძანება გასცა, ამ კითხვებზე პროკურატურამ უნდა გვიპასუხოს.

**— გამოძიება არ უნდა დაინტერესდეს, რატომ არ მონაწილეობდა სპეცოპერაციის დაგეგმვისას თავდაცვის მაშინდელი მინისტრი დავით სიხარულიძე?**

— თავდაცვის მაშინდელი მინისტრი პოლიტიკურად საკმაოდ უმნიშვნელო პიროვნება გახლდათ, ამიტომ, როგორც ჩანს, ვითარების მართვა ბევრად გავლენიანმა, შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა იტვირთა... ამიტომაც ვამბობ, გამოძიება რამდენიმე მიმართულებით უნდა წარიმართოს. ის, რომ სპეცოპერაციის დაგეგმვაში ვანო მერაბიშვილი, დათა ახალაია და ირაკლი კოდუა მონაწილეობდნენ, კიდევ ერთხელ ადასტურებს წლების განმავლობაში ისედაც ცნობილ ფაქტს — ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში პროკურატურა მშენებლობასა და მშენებლებს მეთვალყურეობდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს კი სხვა სამინისტროების მართვის ფუნქციაც ჰქონდა.

## ვერსიანიუსი

### ქობულეთში ახალი ავტოსადგური გაიხსნა



ავტოსადგური, რომელიც 1541 კვ მეტრზეა განთავსებული და მოიცავს ორსართულიან შენობასა და ავტოპარკინგს, აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ, არჩილ ხაბაძემ და ქობულეთის გამგებელმა გია რომანაძემ გახსნეს.

ავტოსადგური 40 ავტობუსს ერთდროულად მოემსახურება. შესრულდება რეგიონის შიდა, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო რეისები. მისი მფლობელი შპს „გიაგოა“, რომელმაც ტერიტორია აუქციონის წესით შეიძინა და სამშენებლო სამუშაოები შეასრულა. **„მნიშვნელოვანი ობიექტი გაიხსნა ქობულეთში, ეს კიდევ ერთი წარმატებული პროექტია კერძო კომპანიებსა და სახელმწიფოს შორის თანამშრომლობისა. სადგური მაღალ დონეზე მოემსახურება ადგილობრივ მგზავრებსა და სტუმრებს; აქ მოეწყობა დასასვენებელი ადგილი, საკვები ობიექტი და ბავშვებისთვის სათამაშო კუთხეც არის“,** — განაცხადა არჩილ ხაბაძემ.

***pia.ge***

### ალექსეი პუშკოვის თქმით, რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობა ჩიხში შევიდა



ბრიუსელში რუსეთ-ევროკავშირის სამიტმა აჩვენა, რომ ორივე მხარის ურთიერთობა ჩიხში შევიდა, — აცხადებს რუსეთის დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ალექსეი პუშკოვი.

მან სოციალურ ქსელ „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე დაწერა, რომ ამ ჩიხიდან გამოსასვლელად აუცილებელია ევროკავშირის ხელმძღვანელობისა და მათი მოდგომების განახლება.

*„ინტერპრესნიუსი“*

გიორგი გიორგაძე

# „საბას“ დაწვის პოლიტიკური ვერსიები

## პაატა კაჭარავა ხანძრის სავარაუდო შემკვეთებსა და დივერსიის ავტორებს ასახელებს



**ერთი წლის წინ, 2013 წლის 26 თებერვალს, საღამოს, სავაჭრო ცენტრ „საბაში“ ხანძარი გაჩნდა — ცეცხლმა 6500 მეტრზე განთავსებული ავეჯის ბაზრობა მთლიანად შთანთქა. 164 მოვაჭრესთან ერთად, ბაზრობის მფლობელი, ბიზნესმენი პაატა კაჭარავაც დაზარალდა — მილიონობით ზარალი ნახა. მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე მაშინვე აღიძრა, თუმცა ერთი წელია, გამოძიება წინ არ წასულა... პაატა კაჭარავა, რომელსაც ნაციონალებმა, თავის დროზე, ქონება წაართვეს, ეჭვობს, რომ „საბას“ დაწვა წმინდა პოლიტიკური დივერსია იყო — ვიღაც, როგორც ჩანს, ფიქრობდა, მოვაჭრეები, ოჯახის წევრებთან ერთად, ქუჩაში გამოვიდოდნენ და ქვეყანაში მასობრივი არეულობა დაიწყებოდა. კაჭარავას ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ „საბას“ პარალელურად, „აკვაპარკი“ და მცხეთაში ერთ-ერთი რესტორანიც დაიწვა. სს „თბილელექტროაპარატის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ამ ხანძრების უკან, შესაძლოა, ნაციონალები იდგნენ. სხვათა შორის, ცეცხლმოკიდებულ „საბაში“ თბილისის იმდროინდელი მერი გიგი უგულავა მისულა, მაგრამ კაჭარავას მასთან შეხვედრაზე უარი უთქვამს. მოგვიანებით, დედაქალაქის მერიამ დაზარალებულებს ორ-ორი ათასი ლარი (ჯამში, 375 ათასი) დაურიგა. ბაზრობის მფლობელმა, გადასახადის გადავადების თხოვნით, ფინანსთა სამინისტროსა და პრემიერ-მინისტრის აპარატს მიმართა, მაგრამ პასუხი არ მიუღია... მაინც, რა მოხდა 2013 წლის 26 თებერვლის ღამეს „საბაში“, რა ვერსიებზე მუშაობს გამოძიება და ვისი ლობირებით მოაწყო დაზარალებული მოვაჭრეების ნაწილმა ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრთან იმიტირებული ბაზრობა? — „ვერსია“ ნაციონალებისგან გაკულაკებულ პაატა კაჭარავას ესაუბრა.**

**— ბატონო პაატა, ხანძარი რომ გაჩნდა, სამსახურში იყავით?**

— არა, სამსახურიდან, კარგად მახსოვს, რვის წუთებზე გავედი. ცხრის ნახევარზე კი დამირეკეს, ხანძარიაო.

**— იმ დღეს რამე საეჭვო ხომ არ შეგიმჩნევიათ?**

— საეჭვოს ვერ ვიტყვი, მაგრამ, როცა გავდიოდი, შევამჩნიე, რომ ერთ-ერთ დამქირავებელს სავაჭრო დარბაზში ავეჯი შეჰქონდა და დაცვაც თავზე ედგა. ეს დეტალი იმიტომ დამამახსოვრდა, რომ ბაზრობა შვიდის ნახევარზე იკეტება, დამქირავებელს კი ავეჯი 7 საათზე შეჰქონდა. ასეთი შემთხვევა სხვა დროსაც ყოფილა...

**— ხანძარი იმ ადგილთან ახლოს გაჩნდა, სადაც მოიჯარეები ავეჯს ცლიდნენ?**

— დიახ...

**— მაშინ „საბას“ დაცვის რამდენი თანამშრომელი ემსახურებოდა?**

— „საბას“, მაშინაც და ახლაც, კერძო დაცვის სამსახური „თბილისი“ ემსახურება, დაცვის წევრები სამ დღეში ერთხელ იცვლებიან და თითო ცვლაში 18 ადამიანი მუშაობს. წესით, იმ დღესაც დაცვის ამდენივე თანამშრომელი უნდა ყოფილიყო...

**— დაცვის წევრებმა გამოძიებას რა ინფორმაცია მიაწოდეს?**

— გამოძიებაში არავინ გვახედებს და ამას ვერ გეტყვით, თუმცა საათნახევრიან ვიდეოჩანაწერში არ ჩანს, რომ ხანძრის გაჩენამდე დაცვა ტერიტორიას აკონტროლებს, არადა, ვალდებული იყო, რომ ასე მოქცეულიყო.

**— გამოძიებამ დაზარალებულად თქვენც გცნოთ თუ მხოლოდ ის მოიჯარეები, ვისაც ავეჯი დაეწვათ?**

— დაზარალებულად დამქირავებლებიც სცნეს და მეც.

**— სულ რამდენი დაზარალებულია?**

— სულ 164 მოიჯარე იყო და გამოძიებას ყველამ სათითაოდ მიმართა. არ ვიცი, ოფიციალურად დაზარალებულად რამდენი სცეს, მაგრამ დოკუმენტაცია მხოლოდ 122-მა წარმოადგინა.

**— გამორიცხავთ, რომ ხანძარი ელექტროენერგიის დაზიანებული ხაზების გამო გაჩენილიყო?**

— რა თქმა უნდა, გამოვრიცხავ, რადგან სავაჭრო დარბაზში ელექტროენერგია ბაზრობის დაკეტვისთანავე ავტომატურად ითიშება და მექანიზმი, რომელიც ბაზრობის დაკეტვისთანავე ელექტროენერგიას ავტომატურად თიშავს, ხანძრის შემდეგაც მწყობრში იყო. ხანძარი ხელოვნურს ჰგავს, მით უმეტეს, ორმა — ალტერნატიულმა და გამოძიების ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ ხანძრის გამომწვევი მიზეზი ელექტროენერგია არ იყო.

**— ესე იგი, ბატონო პაატა, ვარაუდობთ, რომ დაცვის თანამშრომლებმა შეიძლება იციან, ხანძარი ვინ გააჩინა?**

— დაცვის თანამშრომლები, წესით, საქმის კურსში უნდა ყოფილიყვნენ. შეიძლება, მათ ფულიც გადაუხადეს, რომ ყურადღება შეგნებულად მოედუნებინათ.

**— სახანძრო ცეცხლის გაჩენიდან რამდენ ხანში გამოიძახეს?**

— სახანძრო „საბას“ კი არა, „მარშეს“ დაცვამ გამოიძახა, რადგან, თავდაპირველად, მან შეამჩნია... 40 სახანძრო მანქანა გამოძახებიდან 15-20 წუთში მოვიდა. ისე, ხანძარი ადრე რომ შეემჩნიათ, ამხელა ზარალი არ იქნებოდა — შეიძლება, რამდენიმე სკამი დამწვარიყო, ახლა კი 6 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი დარბაზი დაიწვა, რომელიც ავეჯით იყო სავსე.

**— მოიჯარეთა ფინანსურმა ზარალმა რამდენი შეადგინა?**

— სავარაუდოდ, მილიონ ორასი ათასი ლარი.

**— ამ ზარალის ანაზღაურებას თქვენ გთხოვენ?**

— ნაწილი, თუმცა მეც დაზარალებული ვარ...

**— ბატონო პაატა, თქვენი ვერსიით, ხანძარი ვის ინტერესში შედიოდა?**

— როგორც იტყვიან, მამასისხლად გადაკიდებული არავინ მყავს, მაგრამ, ვიდრე „საბაში“ ხანძარი გაჩნდებოდა, მცხეთაში რესტორანი დაიწვა, შემდეგ კი აკვაპარკი.

**— ხანძარი კონკურენციის მიზნით ხომ არ გააჩინეს? სხვათა შორის სწორედ მაშინ, როცა „საბა“ დაიწვა, „დინამო არენაზე“ ავეჯის ბაზრობა გაიხსნა...**

— გამორიცხული არ არის, ხანძარი მის ინტერესში შედიოდა, ვინც აქ მუშაობდა და წასვლა „დინამოზე“ უნდოდა...

**— თუ ვინმეს წასვლა უნდოდა, ხანძრის გარეშე ვერ წავიდოდა?**

— „დინამოზე“ მხოლოდ მაღაზიები იხსნებოდა, იქ სავაჭრო დარბაზის გადატანა წარმოუდგენელი იყო, რადგან მეიჯარეებს, სხვა თუ არაფერი, მაღალი გადასახადი — 25 დოლარი უნდა გადაეხადათ, ანუ „საბა“ როგორმე უნდა გაენადგურებინათ, რათა მოვაჭრეები აქედან წასულიყვნენ. მოკლედ, გამორიცხული არაა, კონკურენტებმა ვიღაც შემოგზავნეს, რომელმაც ხანძარი გააჩინა და ყველაფერში დაცვაც გარეულია. სხვათა შორის, ვიდეოჩანაწერში ხანძრის სამი კერა ჩანს. პირველ კერასთან ავეჯი სრულად არ დაიწვა. დაცვის თანამშრომელი ამბობს, ცეცხლს ვაქრობდითო. ჩანაწერის მიხედვით, სწორედ ამ დროს, დაახლოებით, 80 მეტრის მოშორებით, აღმოსავლეთის მხარეს, ხანძრის მეორე კერა ჩნდება. საინტერესოა: თუ დაცვის წევრები ცეცხლს აქრობდნენ, 80 მეტრის დაშორებით, ხანძრის ახალი კერა როგორღა გაჩნდა? თუ 80 მეტრის დაშორებით თვითაალება მოხდა, მაშინ სავაჭრო დარბაზში ისეთი სიცხე უნდა ყოფილიყო, იქ ადამიანი ვერ შევიდოდა. მოკლედ, ყველაფერი წინასწარ დადგმულს ჰგავს, მით უმეტეს, მეხანძრეებმაც თქვეს, ცეცხლი გარბოდაო ანუ, შეიძლება, სპეციალური სითხე იყო დასხმული, რასაც ცეცხლი მიჰყვებოდა. არც ისაა გამორიცხული, ყველაფერს დისტანციურად მართავდნენ: ვიდეოჩანაწერში ჩანს, ვიღაც „მაიაკივით“ რაღაცას ანთებს, თითქოს ნიშანს იძლევა...

კიდევ ერთი ვერსია საბოტაჟია: არჩევნების წაგების შემდეგ, მანქანების მოპარვა დაიწყო, მაგრამ, როგორც კი ითქვა, ყველაფერ ამას ნაციონალები აკეთებენო, მანქანების ქურდობა შეწყდა, მერე, სადარბაზოებში ნახმარ შპრიცებს ყრიდნენ და ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ ქვეყანაში არეულობა დაწყებულიყო. ხანძარიც სწორედ საბოტაჟის სცენარში ჯდება: კავკასიაში ასეთი ხანძარი არ მომხდარა — ამდენი ქონება განადგურდა და, ერთდროულად, ასზე მეტი მეწარმე დაზარალდა, თან თითოეული მეწარმის უკან, მინიმუმ, ხუთი ადამიანი მაინც დგას ანუ ეს მასშტაბური ზარალი იყო.

**— საბოტაჟის ვერსიის შესახებ გამოძიებას არ უთხარით?**

— ვუთხარი, მაგრამ ეს ადვილი გამოსაძიებელი საქმე არ არის, რადგან, ვთქვათ, არც მუქარის წერილები არსებობს და არც სატელეფონო ზარები... „საბა“ გასაიდუმლოებული ზონა არ არის, მოიჯარე, რომელსაც ავეჯი შემოაქვს, თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. ჩვენ მხოლოდ ფართს ვაქირავებთ და სხვა არაფერში ვერევით!

**— ბატონო პაატა, რამდენიმე თვის წინ, „საბას“ დაზარალებულმა მოვაჭრეებმა ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრთან საპროტესტო აქცია გამართეს. ესეც ვინმესგან მართული იყო?**

— ეს ხანძარი სტიქიურ უბედურებაზე უარესი იყო — თვითდასაქმებული ხალხი დაზარალდა, რომელსაც ბიუჯეტში გადასახადი შეჰქონდა და, წესით, სახელმწიფო უნდა დახმარებოდა, მაგრამ ყველაფერში ნაციონალები ჩაერთნენ და პროვოკაციების მოწყობა დაიწყეს. ივანიშვილის ბიზნესცენტრთან მოწყობილი იმიტირებული ბაზრობაც ამ პროვოკაციის ნაწილი იყო, რასაც დადებითი კი არა, უარყოფითი შედეგი მოჰყვა.

**— დაზარალებულები დღესაც „საბაში“ ვაჭრობენ?**

— დიახ, ერთი დაზარალებულიც არ წასულა. მეტიც, ვიდრე უკეთესით არ დავაკმაყოფილებთ, ფართები უფასოდ მივეცით. ამასთან, შეღავათი აქვთ იჯარაზე — ახალ პავილიონში თუ კვადრატული მეტრი 13 დოლარი ღირს, 10 დოლარს ვახდევინებთ. საერთოდ, ის დახმარება, რომელიც დაზარალებულებს გავუწიეთ, 300 ათას ლარს აღემატება და დახმარებას კიდევ ვაგრძელებთ. სხვათა შორის, იმ ადგილას, სადაც ძველი პავილიონი იყო და დაიწვა, 21 ათას კვადრატული მეტრის ახალი პავილიონი ავაშენეთ. ახალ პავილიონში უსაფრთხოების თანამედროვე ზომებია მიღებული, თუმცა, როგორც გავარკვიე, დივერსიის გამომწვევი ისეთი მოწყობილობები არსებობს, რომლითაც ცეცხლის გაჩენა 25 მეტრშიც შეიძლება.

**— ბატონო პაატა, ხანძარმა თქვენ, როგორც „საბას“ მფლობელს, რა რაოდენობის ზიანი მოგაყენათ?**

— დაახლოებით, 7 მილიონის ქონება დაიწვა. 2013 წელს კი, მიუღებელმა შემოსავალმა მილიონნახევარი შეადგინა.

**— მოვაჭრეების მხრიდან თქვენს მიმართ აგრესია ხომ არ წამოსულა?**

— არა, რადგან ისინიც კარგად გრძნობდნენ, რომ, ვინც ხანძარი გააჩინა, ძალიან ბოროტია და მას ცხოველსაც ვერ შევადარებ, რადგან ეს ცხოველის შეურაცხყოფა იქნება!

**— ბატონო პაატა, თქვენზე, როგორც მეწარმეზე, ქონების წართმევამ უფრო იმოქმედა თუ ხანძარმა?**

— ორივე ერთმანეთზე უარესია... სხვათა შორის, 2009 წელს რამდენჯერმე პოლიციაში უცნობმა დარეკა და განაცხადა, „საბას“ ბაზრობა დანაღმულიაო, სპეცსამსახურმა ტერიტორია სამივეჯერ შეამოწმა, მაგრამ განგაში ცრუ აღმოჩნდა... მართალია, ე.წ. შიდაგამოძიებაც ჩავატარეთ, მაგრამ ვერანაირ კვალზე ვერ გავედით — როგორც ჩანს, ყველაფერი კარგად იყო ორგანიზებული.

**— ამდენი ზარალის შემდეგ, როგორც იტყვიან, ფეხზე დადგომა შეძელით?**

— იცით, როგორ არის? — ახალი პავილიონი ბანკიდან აღებული სესხით ავაშენეთ, თან მოვაჭრეებიც გვერდით დამიდგნენ — ჩემი ნდობა არ დაკარგეს, იცოდნენ, რომ რაც დავპირდი, შევასრულებდი და ფაქტი სახეზეა. ხანძრის შემკვეთებმა ვერ გათვალეს, ვერც ის გათვალა, რომ თავზე ნაცარს არ წავიყრიდი. საერთოდ, წინააღმდეგობას რომ ვაწყდები, ბრძოლის სურვილი მიორმაგდება და, უფლის წყალობით, გამოსავალსაც ვპოულობ ხოლმე. ახლაც ასე მოხდა — 6 500 კვადრატული მეტრი დაიწვა, მის ნაცვლად 21 ათასი კვადრატული მეტრი ავაშენე და ამით ხანძრის შემკვეთს იმედი გავუცრუე!

**— ისე, ხანძარი ნაციონალების მმართველობისას რომ გაჩენილიყო, ყველაფერი, მგონი, თქვენ დაგბრალდებოდათ და ციხეში ხელმეორედ აღმოჩნდებოდით...**

— რა თქმა უნდა... სხვათა შორის, ამის თქმა ახლაც შეეძლოთ, მაგრამ ქონება დაზღვეული არ იყო და ვერ იტყოდნენ, ხანძარი ამიტომ გააჩინაო. ვიღაცები ცდილობდნენ, მოვაჭრეები დაერწმუნებინათ, ბაზრობა საზღვარგარეთ ჰქონდა დაზღვეული. ამ ბრალდებაზე ვიხუმრე, „საბა“ ინგლისის დედოფალთან იყო დაზღვეული და ახლა მივდივარ, ფული უნდა ჩამოვიტანო-მეთქი. ბაზრობა სესხით მქონდა გაკეთებული და ხანძარი მე რომ გამეჩინა, მაშინ ფსიქიურად შეშლილი გამოვდივარ, თეთრი ხალათი უნდა ჩამაცვან, ხელები გამიკრან და ფსიქიატრიულში დამაწვინონ!

**— რა განცდა გქონდათ, როცა თქვენს მიერ შექმნილი ქონება თქვენს თვალწინ იფერფლებოდა — ეს იმაზე უსიამოვო შეგრძნება იყო, როცა ორთაჭალის ციხეში ნაციონალებს ქონება იძულებით გადაუფორმეთ?**

— ქონების ჩუქება მხოლოდ ჩემი პასუხისმგებლობა იყო, ხანძრის დროს კი, მხოლოდ მე კი არა, უამრავი ადამიანი დაზარალდა და პასუხისმგებლობაც მეტი იყო!

**— გარკვეული წრისთვის, იქნებ, იმიტომ ხართ მიუღებელი, რომ არ იციან, ვინ ხართ. აკი, თავის დროზე, ზურაბ ადეიშვილსაც უთქვამს, თუ ამ კაცს ამდენი ქონება ჰქონდა, რატომ არ ვიცოდითო...**

— (იღიმის) რომ სცოდნოდათ, ნაციონალები უფრო ადრე მომაკითხავდნენ! ისე, ნაციონალები ჩემთვის სატანის მსახურები არიან!

**— სხვათა შორის, ბატონო პაატა, რედაქციაში ქალბატონმა დარეკა და განაცხადა, კაჭარავამ სს „თბილელექტროაპარატი“ უკანონოდ დაისაკუთრა და აქციონერებს თეთრიც არ გადაგვხადაო...**

— თვითონ ეყიდათ, ვინმემ დაუშალა?

**— აქციების შესაძენად ფული საიდან გქონდათ?**

— მე-20 საუკუნის 90-იან წლებში მხოლოდ „თბილელექტროაპარატში“ კი არ ვმუშაობდი, ლუდისა და ბენზინის ბიზნესშიც ვიყავი. რაც შეეხება მომჩივნებს, როცა ჩემთვის ქონების წართმევა გადაწყვიტეს, ნაციონალებმა 37 ადამიანი მოძებნეს, დაპირდნენ, მაღაზიებს მოგცემთო და უსაფუძვლო საჩივრები შეატანინეს. ამ დროს ციხეში ვიყავი. მას მერე, რაც სახელმწიფოს ქონება თითქოს ნებაყოფლობით ვაჩუქე, ნაციონალებმა ეს მომჩივნები დაივიწყეს. თუ ამ ადამიანებს ჩემთან პრეტენზიები ჰქონდათ, მაშინ რატომ არ მიჩივლეს, ვიდრე დამიჭერდნენ? სასამართლოს სამივე ინსტანციამ გამამართლა და თუ ვინმეს უნდა, კიდევ მიჩივლოს, კი ბატონო, მაგრამ სიმართლე ერთია და მას ვერავინ გაექცევა!

# „გიდასტურებთ, რომ ახალი პოლიტიკური ალიანსის შექმნაზე მოლაპარაკებები დაწყებულია!“



## ჯონდი ბაღათურია: „ქართულ ოცნებაში“ ჯიპებზე დახამებული ტიპები არიან!“

რუსუდან შელია
557-100-768

**„ქართულმა დასმა“ და კახა კუკავას „თავისუფალმა საქართველომ“ ბინა ერთ ოფისში დაიდეს, თუმცა ჯონდი ბაღათურია ამ საკითხზე საუბრისგან რატომღაც თავს იკავებს, პრეზენტაციისთვის ვემზადებით და ამ თემაზე ვრცელ განცხადებასაც მაშინ გავაკეთებთო. მოკლედ, ისეთი პირი უჩანს, არასაპარლამენტო ოპოზიციაში ახალი პოლიტიკური ალიანსი მზადდება. რატომ არ იცვლება საარჩევნო კოდექსი და რა საკითხზე ვაჭრობდა ბიძინა ივანიშვილთან? — „ვერსიას“ „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია ესაუბრა.**

— თვითმმართველობის არჩევნებისთვის არასაპარლამენტო ოპოზიციამ კოალიცია აუცილებლად უნდა შექმნას, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი კარი ირგვლივ ნებისმიერი პარტიისთვის ღია იქნება. ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც კრიმინალურ რეჟიმთან თანამშრომლობდნენ და ნაციონალური მოძრაობის ხელისბიჭები იყვნენ, კოალიციაში ვერ გაერთიანდებიან.

**— ბატონო ჯონდი, ის პარტიები დამისახელეთ, რომლებთანაც კოალიციას ქმნით.**

— ძალიან მინდა, საზოგადოებას იმ ახალი პოლიტიკური ალიანსის შესახებ ვაცნობო, რომელიც ხელისუფლებას დააბალანსებს და პოლიტიკური ასპარეზიდან ნაციონალურ მოძრაობას გააქრობს, მაგრამ ამაზე საუბარი ჩემგან ჯერჯერობით მიუღებელია. გიდასტურებთ, რომ მოლაპარაკებები დაწყებულია, თუმცა რა სახეს მიიღებს, ამ ეტაპზე, უცნობია.

**— „ვერსიის“ ინფორმაციით, ხელისუფლებისგან დამატებითი დაფინანსება მიიღეთ, რაც თქვენს ახალ კომფორტულ ოფისსაც ეტყობა. „ოცნებამ“ ნაციონალური მოძრაობის ჩანაცვლება არასაპარლამენტო ოპოზიციით გადაწყვიტა?**

— სისულელეა... თვითმმართველობის არჩევნებამდე სახელმწიფო დაფინანსებას ისედაც ვიღებთ. მოახლებულ არჩევნებში საზოგადოება გადაწყვეტს, რამდენად სჭირდება სახელმწიფოს „ქართული დასი“ და საკმაოდ მცირე სახელმწიფო დაფინანსების მიღება მომავალშიც გაგრძელდება თუ არა. ვიმედოვნებ, კვალიფიციურ პარტიად დავრჩებით, რადგან ჩემი ამომრჩევლისთვის არასოდეს მიღალატია. სამწუხაროდ, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, საარჩევნო კოდექსის მიმართულებით ქვეყანაში არაფერი შეცვლილა. დღემდე ხათუნა გოგორიშვილის მიერ დაწერილი კოდექსი გვიდევს, რომელსაც „ქართული ოცნება“ კბილებით იცავს — მასში ერთი წერტილიც არ შეცვლილა.

**— მერი და გამგებელი არჩევითი რომ იქნება, ოპოზიციისთვის მომგებიანი ცვლილება არაა?**

— ეს ყველაფერი თანაბარ საარჩევნო გარემოს არ ქმნის. საქართველოში 3700 საარჩევნო უბანია, თითოეულ უბანს კი კომისიის 13 წევრი ჰყავს, საიდანაც 12 „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენს, ერთი კი ნაციონალურ მოძრაობას. ერთ წელზე მეტია, მმართველ გუნდს რეფორმის ჩატარებას ვთავაზობთ, რომლის მიხედვითაც 13-კაციან კომისიაში ერთი წარმომადგენელი არასაპარლამენტო ოპოზიციასაც ეყოლება, თუმცა დემოკრატიაზე მხოლოდ საუბრობენ, საქმის გაკეთება კი ეძნელებათ, თან ეს მოთხოვნა განსაკუთრებულ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული, მხოლოდ თავის დაქნევა სჭირდება, მაგრამ არ აწყობთ — ნახეს, რომ დავით ნარმანიას რეიტინგი საკმაოდ დავარდა, ამიტომ ოპოზიციის მოთხოვნებს არაფრად აგდებენ.

**— 40%-იანი საარჩევნო ბარიერიც დავით ნარმანიას დაბალ რეიტინგს უკავშირდება?**

— რა თქმა უნდა! თბილისში არჩეული მერი თუ გამგებელი ლეგიტიმურად რომ ჩავთვალოთ, დედაქალაქის მოსახლეობის ნახევარზე მეტმა არ უნდა აირჩიოს. სხვათა შორის, შარშან დეკემბერში, 50%-იან ბარიერზე დაგვთანხმდნენ, მაგრამ შემდეგ, ნაციონალებივით მოიქცნენ და გადაწყვეტილება შეცვალეს. აბსოლუტურად გაუმართავია მაჟორიტართა სისტემაც — ოცი წლის განმავლობაში, ყველა ხელისუფლების პირობებში, მაჟორიტარ დეპუტატთა უმრავლესობამ ქვეყანა საკუთარი ქონებისა და ტყავის ინტერესების სასარგებლოდ გაყიდა და, ბიძინა ივანიშვილის სიტყვებით რომ ვთქვა, წუწუნფეოდალებად გადაიქცნენ. ეს ის საკითხებია, რომლის მოგვარებასაც ოპოზიციაში ყოფნისას, „ქართული ოცნების“ ლიდერებთან ერთად, ნაციონალური მოძრაობისგან ვითხოვდით. დოკუმენტებიც არსებობს, სადაც ისინი აღნიშნულ მოთხოვნებს ხელს აწერენ. ძალაუფლების შენარჩუნებაზე ზრუნვა ძალიან ადრე დაიწყეს. ახლა ხელისუფლება, დაახლოებით, იმ მდგომარეობაშია, როცა ნაციონალური მოძრაობა 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ იყო. ბიძინა ივანიშვილმა ხალხისთვის მიცემული ერთი დაპირებაც ვერ შეასრულა და ევროპის გაკვირვებაც არც ხათუნა გოგორიშვილის კოდექსით გამოუვა!

**— ბიძინა ივანიშვილი დიდი ხანია პოლიტიკიდან წავიდა და არც საარჩევნო კოდექსზეც იღებს პასუხისმგებლობას...**

— ბიძინა ივანიშვილი ოპოზიციის ლიდერი იქნება, პრემიერი თუ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი, ყოველთვის წარმატებულ ბიზნესმენად დარჩება, რომელმაც ცუდი პოლიტიკური გუნდი ჩამოაყალიბა. ფაქტია: მისი პრემიერ-მინისტრობა 700-მილიონიანი გარღვევით დასრულდა. უნახავმა რა ნახაო და, ასეთი ბიუჯეტის პირობებში, ხელისუფლებამ 29 მილიონის ავტომობილები იყიდა. „ქართულ ოცნებაში“ ჯიპებზე დახამებული ტიპები არიან. სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილს თვითშეფასების საკმაოდ მაღალი ხარისხი აქვს, არც სიამაყე აკლია და არ მგონია, მსგავს პრეცედენტებს ადვილად ეგუებოდეს, თუმცა იმისიც ნაკლებად მჯერა, ხელისუფლების კრიტიკა დაიწყოს — ეს თვითკრიტიკა იქნება, რადგან სახელმწიფოს მის მიერ მოყვანილი ხალხი მართავს. ბიძინას მიმართ საზოგადოების დიდ ნაწილში ნდობა მოირყა და მიუხედავად იმისა, რომ პატივისცემით ვარ განწყობილი, აღარ ვენდობი. მან უამრავი დაპირება ვერ შეასრულა და ჩვენ შორის არსებულ ურთიერთობებზეც ბევრჯერ მოიტყუა.

**— ანუ ივანიშვილმა იცრუა, როცა განაცხადა, ჯონდი ბაღათურია ჩემთან ვაჭრობდაო?**

— ვაჭრობა ბიძინა ივანიშვილს ცუდი ჰგონია? ისე, ერთადერთი, რაც ვერ ვისწავლე, ვაჭრობაა, ბიძინა ივანიშვილი კი ასეთი წარმატებული მხოლოდ იმიტომ გახდა, რომ მისი ცხოვრება ვაჭრობით დაიწყო. იგი დიდვაჭარია! ამიტომ მსგავს საკითხზე ბიძინა ივანიშვილისგან საყვედურს ვერ მივიღებ. ეს იგივეა, ყოფილ პოლიტიკოსს ვუთხრა, შე პოლიტიკოსო-მეთქი...

**— ესე იგი, ადასტურებთ, რომ პოლიტიკურ საკითხებზე ვაჭრობდით..**

— ბიძინა ივანიშვილთან არასოდეს მივაჭრია. არჩევნებამდე ჩვენს შორის ძალიან ღირსეული საუბარი შედგა და ურთიერთგაგებაც არსებობდა, ბოლო შეხვედრაზეც ერთმანეთს საკმაოდ სასიამოვნო სიტყვებით დავშორდით, თუმცა შემდეგ, ერთმა „ბალამუტშჩიკმა“ რაღაც უთხრა და იმის ნაცვლად, სიმართლე ჩემთვის ეკითხა, ხალხთან, ორღობეში დაიწყო საუბარი. მოგვიანებით, ყველაფერი გავარკვიე, ვიცი, ვინ შეიყვანა შეცდომაში და რაც ითქვა ჩემს შესახებ, თუმცა ამ საკითხზე საუბარი არ მინდა. როგორც გითხარით, სააკაშვილისგან განსხვავებით, ბიძინას მიმართ პატივისცემით ვარ განწყობილი, მიშას მიმართ კი არაფერს ვგრძნობდი, რადგან თავად არაფერს წარმოადგენდა.

**— ექსპრეზიდენტის ქონებრივ დეკლარაციაზე დოკუმენტები პროკურატურას გადაუგზავნეთ. რატომ არ ხდება რეაგირება?**

— დიახ, სააკაშვილის ქონებაზე ფოტომასალა და დოკუმენტაცია პროკურატურას გადავუგზავნე და სისხლის სამართლის საქმის აღძვრაც მოვითხოვე, თუმცა ამ მიმართულებით, ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა. ფაქტია: დღეს ნაციონალურ მოძრაობასთან დაპირისპირება არავის უნდა.

**„ქართულმა ოცნებამ“ მიტაცებული ბიზნესები ხელახლა გადაინაწილა, ხელისუფლება აბსოლუტურად ყველა დონეზე ვაჭრობს. ამაზე გავრცელებული ვიდეომასალაც მოწმობს, სადაც ვანო მერაბიშვილი, პრემიის ნაცვლად, ორ გვამს ითხოვს. ეს კადრები შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში ერთი წლის განმავლობაში ინახებოდა, ყველამ იცოდა, რომ ყოფილმა პრემიერმა ადამიანების მკვლელობა შეუკვეთა, თუმცა მის წინააღმდეგ საქმის აღძვრაზე არავის უფიქრია. როგორც კი ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ შორის რაღაც დონეზე ვაჭრობა „გაიჭედა“ და ვანომ ნაქურდალი ქონებიდან წილი არ დათმო, მისი მაკომპრომეტირებელი მასალა მაშინვე სოციალურ ქსელში გავრცელდა.**

**— „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალებს შორის მხოლოდ ფინანსური დაპირისპირებაა?**

— მათ შორის დაპირისპირება არც ერთი ფორმით არ არსებობს! ხელისუფლებასა და საპარლამენტო ოპოზიციას ერთმანეთთან მხოლოდ ვაჭრობა აკავშირებს. ხომ ხედავთ, ჰარმონიული ურთიერთობა აქვთ საწვავის ბიზნესში? ხელისუფლების წარმომადგენლებმა წილები გადაინაწილეს, ხალხი კი გაოცებული და მხიარული დარჩა. ზუსტად იგივე პროცესები მიმდინარეობს ფარმაცევტულ ბიზნესშიც, რაზეც ბიძინა ივანიშვილი არჩევნებამდე საკმაოდ ხშირად საუბრობდა, დღეს კი, მონოპოლიები შენარჩუნებულია. საზოგადოების ნაწილში ხელისუფლების მიმართ აგრესია დიდი ხანია დაგროვდა და ხალხის დასაშინებლად ხელისუფლება პრიმიტიულ მეთოდს იყენებს — თუ „ქართული ოცნება“ არ იქნება ქვეყნის სათავეში, ნაციონალური მოძრაობა დაბრუნდებაო. „ოცნებას“ სწორედ ეს პრიმიტიულობა დაღუპავს, რადგან ნაციონალების დრო წარსულს ჩაბარდა. ისე, ნაციონალურმა მოძრაობამ უნდა ილოცოს, ბიძინამ ძალაუფლება დიდხანს შეინარჩუნოს — ბიძინა ივანიშვილი მათ მფარველ ანგელოზად მოევლინა, თორემ ნებისმიერი ხელისუფლება ყველას გადათელავდა. მერწმუნეთ, მალე ნამდვილი მართლმსაჯულების დროც დადგება და ხალხმა, ნაციონალებთან ერთად, შესაძლოა, „ქართული ოცნებაც“ გაასამართლოს.

ვერსიანიუსი

# ღვინის მწარმოებელი კომპანიების სამუშაო შეხვედრა გაიმართა



ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან დავითაშვილმა ღვინის მწარმოებელ კომპანიებთან სამუშაო შეხვედრა გამართა, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი და თავმჯდომარის პირველი მოადგილე გელა სამხარაული.

როგორც „მედიანიუსს“ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს, სამუშაო შეხვედრაზე, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან დავითაშვილმა კომპანიების წარმომადგენლებსა და შეხვედრის მონაწილეებს სააგენტოს 2014 წლის სამოქმედო გეგმა და კონკრეტული პროგრამები გააცნო, წარუდგინა მიმდინარე მოვლენების ანგარიში.

მიმდინარე წელს ღვინის ეროვნული სააგენტო სხვადასხვა მიმართულებით იმუშავებს — საკანონმდებლო ცვლილებები; მევენახეობის განვითარების ხელშეწყობა; ღვინის ლაბორატორიული კვლევები; საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის პოპულარიზაცია; იშვიათი და უნიკალური ვაზის ჯიშების აღდგენის ხელშეწყობა; სამეცნიერო კვლევების წახალისება; ელექტრონული აღრიცხვიანობის სისტემის დანერგვა; აღნიშნული ღონისძიებების გატარება უზრუნველყოფს: ქართული ღვინოპროდუქტის ექსპორტის მოცულობის ზრდას, საექსპორტო ბაზრებზე დაბალხარისხიანი ან ფალსიფიცირებული პროდუქციის აღკვეთას, ვენახების ეროვნული კადასტრის ფორმირებას; ვაზის უნიკალური და იშვიათი ქართული ჯიშებით გაშენებული ფართობების რაოდენობის ზრდას.

საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, გიგლა აგულაშვილის განცხადებით, მისასალმებელია ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ წამოწყებული პროგრამები. მან დადებითად შეაფასა საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის გეგმა და სამუშაო შეხვედრებში აქტიური მონაწილეობის სურვილი გამოთქვა.

როგორც შეხვედრაზე სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, იური ნოზაძემ აღნიშნა, **„სამინისტროსა და სააგენტოს ძალისხმევა კერძო სექტორისა და ფერმერთა განვითარების ხელშეწყობაზეა მიმართული. ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა ქართული ღვინის ექსპორტის გაზრდასა და ახალი საექსპოტო ბაზრების მოძიების მიმართულებით. მინისტრის მოადგილის განცხადებით, გაისად პროდუქციის ხარისხზე მაქსიმალური კონტროლი განხორციელდება“.**

ლევან დავითაშვილის მიერ 2014 წლის სამოქმედო გეგმის პრეზენტაციის შემდეგ, სამუშაო შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მონაწილეებმა გამოთქვეს მოსაზრებებიც და მეღვინეობის დარგის განვითარებაში მსგავსი პროგრამების განხორციელების ეფექტზე ისაუბრეს.

შეხვედრის მონაწილეებმა სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის მჭიდრო თანამშრომლობისა და დარგის რეალურად განვითარების ხელშეწყობისთვის, სამუშაო შეხვედრების ყოველთვიურად ჩატარების წინადადება დადებითად შეაფასეს.

*„მედიანიუსი“*

**2013 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა ცვლილება ორ კანონში — „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და „საქართველოს დედაქალაქის — თბილისის შესახებ”. აღნიშნული ცვლილებები, ძირითადად, ეხება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საქმიანობის ორგანიზებას და მოიაზრებს რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს, მათ შორის, სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესებას, თუმცა არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, მათი ანალიზი ეჭვქვეშ აყენებს პოზიტიური შედეგების მიღწევის შესაძლებლობას და სკოლამდელი განათლების სისტემაში, პრობლემების მოგვარების ნაცვლად, შესაძლოა, მათ გამწვავებას შეუწყოს ხელი. სამწუხაროდ, კანონში შეტანილი ცვლილებები არ ითვალისწინებს საქართველოში სკოლამდელი განათლების სისტემაში არსებულ ვითარებას, რაც ალბათ, არ არის გასაკვირი, ვინაიდან ის ერთი დეპუტატის მიერ იქნა შემუშავებული და მის შექმნაში „მონაწილეობა არ მიუღიათ სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს“.**

# უფასო სკოლამდელი განათლება მათთვის, ვინც დაასწრებს



განვიხილავ რამდენიმე ცვლილებას, რომელიც პირდაპირ ან ირიბად სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობას ეხება.

კანონში შეტანილი ცვლილებით, იკრძალება საჯარო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში გადასახადის დაწესება. შესაბამისად, 2013 წლის სექტემბრიდან, საქართველოს მასშტაბით, ე.წ. სახელმწიფო საბავშვო ბაღებში გაუქმდა გადასახადი. ამ ინიციატივის მიზანია სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა; ბავშვს, მიუხედავად ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობისა, სურვილის შემთხვევაში, ეძლევა შესაძლებლობა, ბაღში იაროს. იმისთვის, რომ გავიგოთ, რეალურად, შეცვლის თუ არა ეს საბავშვო ბაღში ჩართულობის საერთო სურათს, შევხედოთ, ამ მხრივ რა პოლიტიკას ატარებდა სახელმწიფო კანონში ცვლილების მიღებამდე:

65 მუნიციპალიტეტიდან 19-ს არ ჰქონდა დაწესებული საბავშვო ბაღის გადასახადებთან დაკავშირებული შეღავათები სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის, დანარჩენ მუნიციპალიტეტებში შეღავათები გათვალისწინებული იყო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალურად დაუცველთა ბაზაში მყოფი და მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებისთვის, მარტოხელა დედების შვილებისთვის და ა.შ. მიუხედავად ამისა, ამ მუნიციპალიტეტებშიც არსებობდა მშობელთა ჯგუფი, რომელიც ამ კატეგორიებში არ ხვდებოდა, მაგრამ დაწესებული გადასახადის გამო, ვერ დაყავდა ბავშვი ბაღში. 2011 წლის მონაცემებით, მშობელთა წილი, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზს შორის სწორედ ფინანსური სიდუხჭირის გამო არ მიჰყავდათ 3-5 წლის ასაკის ბავშვი ბაღში, სოფლად 13% იყო, ქალაქად — 12%. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ახალი კანონის ამოქმედებასთან ერთად, ბაღში არმოსიარულე ბავშვთა დაახლოებით 12%-სთვის სკოლამდელი განათლება უფრო ხელმისაწვდომი გახდება, თუმცა საქმე არც ასე მარტივადაა და სანამ დეტალებს განვიხილავთ, ვნახოთ, როგორ აისახება ცვლილება ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტზე.

აღნიშნული ცვლილების მიღებამდე, საქართველოს მასშტაბით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, საშუალოდ, ფინანსდებოდა სკოლამდელი განათლების ხარჯების 70%, მშობელთა თანადაფინანსება შეადგენდა, საშუალოდ, 29%-ს. თუ 2011 წლის მონაცემებს დავეყრდნობით (სამწუხაროდ, უფრო ახალი არ არსებობს), ცვლილების შესაბამისად, საბიუჯეტო დაფინანსება იზრდება დაახლოებით 22 მილიონი ლარით. ეს იმ შემთხვევაში, თუკი შენარჩუნდება საბავშვო ბაღების (და მათში ჩართული ბავშვების) რაოდენობა.

გარდა აღნიშნული თანხისა, სავარაუდოდ, სკოლამდელი განათლების დაფინანსებაზე გამოყოფილ საბიუჯეტო სახსრებს დამატებით გაზრდის კანონში შეტანილი კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებას ავალდებულებს საბავშვო ბაღების ხარისხიანი სასმელი წყლით, აგრეთვე, ცხელი წყლით, გათბობისა და ვენტილაციის სისტემებით უზრუნველყოფას. თუ გავითვალისწინებთ რეგიონებში არსებული ბაღების უმრავლესობაში არსებულ ფიზიკურ გარემოს, ეს ნიშნავს, რომ გარდა 22 მილიონით გაზრდილი ხარჯისა, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა დამატებით მნიშვნელოვანი თანხები უნდა გამოყონ, რომ დააკმაყოფილონ კანონის მოთხოვნა. ინფრასტრუქტურული განვითარება სკოლამდელი განათლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ქვეყანაში ამჟამად არსებული ფინანსური გამოწვევებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ სკოლამდელ განათლებაზე ისედაც გაზრდილი ხარჯის ფონზე, ნაკლებად რეალურია. სამწუხაროდ, კანონი არ ითვალისწინებს პერიოდს ინფრასტრუქტურული განახლების ეტაპობრივი განხორციელებისთვის. შეზღუდული ბიუჯეტის პირობებში, იმისთვის, რომ საქმიანობა კანონის ფარგლებში წარმართოს, ადგილობრივი ხელისუფლება, შესაძლოა, უბრალოდ, იძულებული გახდეს, დახუროს ბევრი საბავშვო ბაღი, რაც იმ ბავშვებსაც დატოვებს სკოლამდელი განათლების გარეთ, ვინც აქამდე დადიოდა ბაღში. სამწუხაროდ, საქართველოში ბევრია ისეთი საბავშვო ბაღი, რომელიც არ არის ცხელი წყლითა და გათბობის სისტემით უზრუნველყოფილი.

დავუბრუნდეთ იმ ბავშვებს, რომელთა მშობლებს საბავშვო ბაღით სარგებლობა უკვე შეუძლიათ გაუქმებული გადასახადის გამო. რომელი საბავშვო ბაღებით ისარგებლებენ ისინი? არსებული სახელმწიფო საბავშვო ბაღების უმრავლესობაში ადგილები შევსებულია. დიდ ქალაქებში კი, შეიძლება ითქვას, გადავსებულიც. თუკი სახელმწიფო არ შექმნის ახალ ადგილებს (ახალ ჯგუფებს, ახალ ბაღებს და ა.შ), რაც ნაკლებსავარაუდოა ისედაც გაზრდილი ხარჯის ფონზე) იმ მსურველებისთვის, რომლებსაც გადასახადის გაუქმების გამო უკვე შეუძლიათ საბავშვო ბაღით სარგებლობა, მოვლენები შესაძლოა ორგვარად განვითარდეს: ა) იმის მიხედვით, რომელი მშობელი დაასწრებს სხვებს რეგისტრაციას, გარკვეული რაოდენობის „ახალი“ ბავშვები ჩაანაცვლებენ „ძველებს“. არ ვიცით, ახლადჩართული ბავშვები სოციალურად დაუცველები იქნებიან თუ არა, რადგან კანონი არაფერს ამბობს, მიენიჭება თუ არა ვინმეს პრიორიტეტი რეგისტრაციის დროს. ამას, სავარაუდოდ, ადგილობრივი თვითმმართველობა თავად გადაწყვეტს. მაგალითად, თბილისში ბავშვების რეგისტრირებისას საწყის ეტაპზე პრიორიტეტი ენიჭებათ სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებს. თბილისის მაგალითი უნივერსალური არ არის და ბევრ მუნიციპალიტეტში არსებულ ნაკლებად გამჭვირვალე რეგისტრაციის სისტემასთან ერთად, ასეთი პრიორიტეტები არაა განსაზღვრული. ასეთ შემთხვევაში, ცვლილება სრულიად არ შეუწყობს ხელს ხელმისაწვდომობის ზრდას თუნდაც სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის.

ბ) გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისად, სახელმწიფო საბავშვო ბაღებში ჯგუფის ზომები, უბრალოდ, გაიზრდება ახალი აღმზრდელების დამატების გარეშე (რაც მოხდა კიდეც თბილისში). ეს სკოლამდელი განათლების ისედაც საეჭვო ხარისხს კიდევ უფრო საეჭვოს გახდის. სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული არაერთი კვლევის შედეგის მიხედვით, ასეთ გარემოში (ძალიან დიდი ჯგუფები, აღმზრდელთა არასაკმარისი რაოდენობა, არასაკმარისი ფიზიკური სივრცე და ა.შ.) ბავშვების ყოფნა განვითარების ხელშეწყობის ნაცვლად, შესაძლოა, მნიშვნელოვნად ხელს უშლიდეს მათ განათლებასა და განვითარებას.

თუკი მიზანია ხელმისაწვდომობის გაზრდა, მნიშვნელოვანია შევხედოთ სხვა მიზეზებს, რომლებსაც მშობლები ასახელებენ, თუ რატომ არ დაჰყავთ ბავშვი ბაღში. სოფლად მშობელთა ნახევარი (48%) აცხადებს, რომ ბავშვი ვერ დაჰყავს ბაღში, რადგან ტერიტორიულად შორსაა. ქალაქად კი მშობელთა ყველაზე დიდ ნაწილს (53%) მიაჩნია, რომ ჯერ ბავშვი პატარაა განათლებისთვის.

ახალი კანონი, მშობელთა სურვილის მიუხედავად, ვერ უზრუნველყოფს სოფელში მცხოვრები ბავშვების თითქმის ნახევრის სკოლამდელ განათლებაში ჩართვას. მეტიც, კანონში შეტანილი კიდევ ერთი ცვლილების გამო, შესაძლოა იმ ბავშვებმაც დაკარგონ ადგილები ბაღში, ვინც დღეს დადის. კერძოდ, კანონი აწესებს საბავშვო ბაღის დღიურად მომსახურების 9, 10 ან 12-საათიან ხანგრძლიობას. აღნიშნული რეგულაციის კანონში შეტანა სრულიად გაუგებარია. გარდა იმისა, რომ ზღუდავს მშობლის არჩევანს, პრაქტიკულად, შეუძლებელს ხდის, სახელმწიფომ შესაძლებლობის ფარგლებში განსხვავებული ფორმით უზრუნველყოს სკოლამდელი განათლების მიწოდება უფრო მეტი ბავშვისთვის. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს ბევრ მუნიციპალიტეტში ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით ალტერნატიული სკოლამდელი განათლების ცენტრები დაარსდა იქ, სადაც არ არსებობდა ასეთი სრულდღიანი ბაღები და მათი გახსნა მოსახლეობის სიმწირის გამო არახელსაყრელი იყო ხელისუფლებისთვის. თუ ადგილობრივ თვითმმართველობას არ სურს კანონის დარღვევა, იძულებული იქნება, გააუქმოს ეს განსხვავებული ტიპის სკოლამდელი განათლების დაწესებულებები და კვლავ დატოვოს ბევრი სოფლის ბავშვი სკოლამდელი განათლების სისტემისმიღმა.

*„ნეტგაზეთი“*

## ვერსიანიუსი

### ილია მეორე: „ზომიერება გვაკლია!“



**„ჩვენ ზომიერება გვაკლია, გვახასიათებს თავისუფალი ცხოვრება, ზედმეტი განცხრომა, სიხარული და მწუხარება“,** — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას ბრძანა.

უწმინდესმა მრევლს დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის მიხედვით შექმნილი ნამუშევრების წარდგენა სთხოვა, რომელიც მათ პატრიარქის გასული კვირის ქადაგების თანახმად უნდა დაეწერათ, თემაზე – „განწყობა შრომისთვის“. თემა არავინ წარადგინა, რის შემდეგაც ილია მეორემ ბრძანა, რომ ქართველი ხალხი შორსაა შრომისგან.

**„ძალიან შორს ვართ შრომისგან და მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ამას“,** — ბრძანა უწმინდესმა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მრევლს თემაზე „განწყობა შრომისთვის“ თემის მომზადება გასულ კვირას, ქადაგებისას დაავალა. როგორც ილია მეორემ ბრძანა, ადამიანები უნდა დაფიქრდნენ შრომაზე და მასთან მიმართებაში განწყობის როლსა და მნიშვნელობაზე.

*„ინტერპრესნიუსი“*

### ირაკლი ალასანია მიუნხენის კონფერენციაზე პრემიერის გამოსვლას აფასებს



საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას განცხადებით, მიუნხენის კონფერენციაზე გამოსვლისას პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ცხადად დააფიქსირა, რომ საქართველოს ერთადერთი გზა ევროპულ სტრუქტურებში სრული ინტეგრაციაა:

**„ცხადად დააფიქსირა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, რომ საქართველოს ერთადერთი გზა სრული ინტეგრაციაა ევროპულ სტრუქტურებში, ევროატლანტიკურ სივრცეში და რაც მთავარია, უკან მივიღეთ დისკუსიებისას აშკარა სოლიდარობა — საქართველოს აფასებენ როგორც ძლიერ პარტნიორს, საქართველოს აფასებენ, როგორც სამხედრო პარტნიორს და საქართველო სურთ დაინახონ ევროპულ ოჯახში“.**

### ვიტალი კლიჩკოს აზრით, ხელისუფლების სრული გადატვირთვაა აუცილებელი



უკრაინის ოპოზიციური პარტია ,,უდარის” ლიდერმა, ვიტალი კლიჩკომ მიუნხენში ჟურნალისტებთან საუბარისას განაცხადა, რომ ქვეყნის პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი გზა ხელისუფლების სრული გადატვირთვა იქნება:

**„უკრაინის კრიზისიდან კომპრომისული გამოსავალი შეიძლება იყოს მხოლოდ სრული გადატვირთვა, ხელისუფლების ცვლილება. 2004 წლის კონსტიტუციის დაბრუნების თემა, თითქმის ყველა შეხვედრაზე განიხილებოდა, რომელიც მიუნხენის კონფერენციაზე მქონდა. ყველა ამბობდა, რომ ეს, შესაძლოა, იყოს ერთ-ერთი ეფექტური მექანიზმი ხელისუფლების გადატვირთვისთვის“.**

*„მედიანიუსი“*




# თავისუფლების მანდარინისებრი სურნელი

**აფხაზეთი მანდარინს ჰგავს — მასავით ეგზოტიკური, მრავალფენოვანი და წვნიანია. თითოეული მისი ნაწილი, თითქოს, ერთმანეთს ჰგავს, სინამდვილეში კი, განსხვავებულია და მისი ნაჭრებად დაყოფაც ძალზედ ადვილია. ვოჩეკ გორეცკის „აფხაზეთიც“ ასეთივე წვნიანი და მრავალფენოვანია. რუსულ ბაზარზე მანდარინების მთავარი ექსპორტიორის, კვაზისახელმწიფოს ეს ისტორია ბევრად მეტია, ვიდრე, უბრალოდ, კავკასიაში ავტორის მოგზაურობისათვის თვალის გადავლება. „აფხაზეთი“ მისი, როგორც რეპორტიორის ცხოვრების ერთგვარი მწარე რეზიუმეა და ყველაზე პერსონალური ადგილი უჭირავს მის მიერ შექმნილ ტრილოგიაში.**

გორეცკის საოცარი შთაბეჭდილებები კავკასიაზე მის სამ წიგნშია თავმოყრილი: „პლანეტა კავკასია“, „წინაპრების სადღეგრძელო“ და „აფხაზეთი“. ეს უკანასკნელი გორეცკის ჩანახატებია, რომელიც იმ ოცდაერთწლიან პერიოდში შეიქმნა, როდესაც ავტორი ზღვასა და მთებს შორის მდებარე ამ მხარეს სტუმრობდა. ჩანაწერები თავისებურია — მოგვითხრობს ავტორის შეჭიდებას საკუთარი ვიზიტების ისტორიასთან. რატომ ამთავრებს ტრილოგიას მაინცდამაინც „აფხაზეთი“? — იმიტომ, რომ ეს მივიწყებული ლეგენდების მიწაა, ეთნიკური და კულტურული ქვაკუთხედი, პაწაწინა წერტილი მსოფლიო რუკაზე, რომელიც თვითმყოფადობისთვის იბრძვის.

აფხაზეთი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებულ კვაზისახელმწიფოთაგან ერთ-ერთია. ევროკავშირი მას საქართველოს ნაწილად მიიჩნევს და მის დამოუკიდებლობას მხოლოდ რუსეთი, ნიკარაგუა, ვენესუელა, ნაურუ, ვანუატუ და ტუვალო აღიარებენ. აფხაზეთს ჰყავს თავისი „პრეზიდენტი“, „მთავრობა“ და „შეიარაღებული ძალები“. მისი საჰაერო ძალები ერთი ვერტმფრენისგან, ხოლო ფლოტი დამწყები ბეჯითი მსახიობი ლონიკ აჩბას სათევზაო გემისგან შედგება. აფხაზეთი აფხაზთა — მეზღვაურთა და მთის ხალხთა მიწაა; გეოგრაფიულად კი, ხმელთაშუა ზღვისა და კავკასიის დამაკავშირებელ რგოლად გვევლინება.

მეცხრამეტე საუკუნეში აფხაზეთის, როგორც აბრეშუმის გზის ერთ-ერთი ისტორიული მონაკვეთის ერთ-ერთი მარშრუტი რუსების მიერ სუჩომსკას სამხედრო გზად გადაკეთდა. გორეცკი ცდილობს, მოიძიოს აფხაზეთის დამოუკიდებლობის ნიშნები: სახელმწიფოებრიობა და რელიგია და მიაკვლიოს სიმართლეს. აფხაზები ბევრს საუბრობენ თავიანთ დამოუკიდებლობაზე და თავისუფლებისთვის ბრძოლის დროს ხშირად მიუთითებენ ისტორიაზე. აქ მხოლოდ საქართველოსა და აფხაზეთის ინტერესების აღრევასთან არ გვაქვს საქმე. ამ მულტიკულტურულ ქვაკუთხედში ჩეჩნები, ყაბარდოელები, დაღესტნელები და ინგუშებიც არიან გარეულნი და ყოველი მათგანი თავის უფლებებს აცხადებს აფხაზეთზე. ამ შავიზღვისპირა მიწაზე ვხვდებით როგორც თავისუფლებისთვის მებრძოლებს, ასევე ომის შემდეგ თავშესაფრის მაძიებელ ხალხს. დაუდგენელი ნაციონალური იდენტობის ადამიანებს აქ ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით.

ირონიულია, მაგრამ ზოგიერთი მათგანი თავის სამშობლოს დიდ პერსპექტივას უწინასწარმეტყველებს. მათ რიცხვს მიეკუთვნება ფაზილ ისკანდერი, აფხაზთა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მწერალი და, ლიტერატურის ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ნობელის პრემიის შესაძლო ლაურეატი. იგი უკვე დიდი ხანია, მოსკოვში ცხოვრობს, თავის წიგნებს რუსულ ენაზე წერს და აფხაზეთისთვის საერთაშორისო არენაზე იბრძვის. მისივე სიტყვებით, ის ისეთ ბარიერებს ამარცხებს, რომელთა მსგავსიც ჯერ არც ერთ ემისარს არ გადაულახავს.

გორეცკი დეტალურად აღწერს რთულ რელიგიურ საკითხებს, რომელიც ამ თვითგამოცხადებულ სახელმწიფოში გვხვდება. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, გორეცკიმ აღმოაჩინა, რომ აფხაზთა 60% მართლმადიდებელია, 20% მუსლიმი, ხოლო 10% კერპთაყვანისმცემელი, მაგალითად შეგვიძლია ის პოლიტიკოსები ავიღოთ, რომლებიც ქვეყანას მართავენ ან ისინი, ვინც ოპოზიციაში არიან. აფხაზეთის მომავალ ბედ-იღბალს მისი ახლანდელი ლიდერები არ წყვეტენ. სინამდვილეში, ამას რუსეთი აკეთებს, რომელსაც ეკუთვნის პოლიტიკური ძალაუფლება ამ რეგიონზე და აკონტროლებს. ხოლო ქართველები არ მისცემენ რუსებს საშუალებას, წაიღონ ის, რასაც საქართველოს ტერიტორიის ნაწილად მიიჩნევენ.

პოლიტიკურ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ორმხრივი შიდასახელმწიფოებრივი ურთიერთობების ეს რთული ისტორია საოცარი სიცხადითაა გადმოცემული გორეცკის მიერ.

წიგნი სხვადასხვა ჟანრის სინთეზია — ქალაქის აღმწერი პასაჟებიდან ისტორიულ სკეტჩებამდე. ყოველივე ამას ავტორი მოგზაურობისას ჩანიშნული დიალოგებით ამდიდრებს. ყოველი შეხვედრა, როგორც წესი, მოკლეა, მოსაუბრე — მოუხეშავი და ლაპარაკს მიუჩვეველი. ამას ავტორი იმით ხსნის, რომ აფხაზურ სულში შეღწევა ძნელია. აფხაზები ყველაზე ნაკლებად სპონტანურები არიან კავკასიის ხალხთა შორის. ალბათ, ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ჟურნალისტები ამ რეგიონით ინტერესდებიან, ესეც არის.

ავტორს აფხაზეთში პოლონური კვალის აღმოსაჩენ მოგზაურობაზეც მივყავართ. გორეცკი დიდი გულმოდგინებით წერს იან გოდავას, იმ პოლონელის შესახებ, რომელიც აფხაზეთ-საქართველოს ომში აფხაზების მხარეს იბრძოდა; აგრეთვე, თეოფილე ლაპინსკის შესახებაც, რომელიც მე-19 საუკუნის კავკასიაში მეფის რუსეთის წინააღმდეგ ილაშქრებდა. 1950-იან წლებში დაბადებულ ბევრ აფხაზს პოლონური სახელი ჰქვია: სტანისლავს ან თეოფილეს აქ ხშირად შეხვდებით.

კავკასიური ტრილოგიის დასკვნით ნაწილში ავტორი თავის ისტორიასაც გვიამბობს: 1990-იანი წლების დასაწყისში ჩვენ ვხვდებით ახალგაზრდა, აღმოსავლეთში მოგზაურ სტუდენტს, რომელიც ამ რეგიონზე წერს და ორი საუნივერსიტეტო დისერტაციის დაცვას ცდილობს. იგი სვამს კითხვებს, მაგრამ ყოველთვის ვერ პოულობს პასუხს, ამიტომაც უფრო ღრმად იკვლევს საკითხს. იგი ნებისმიერ შესაძლებლობას იყენებს, რომ როგორმე იმოგზაუროს აღმოსავლეთში.

1992-93 წლების აფხაზეთ-საქართველოს ომი გორეცკისთვის პირველი სამხედრო კონფლიქტი იყო, სადაც ის სამხედრო კორესპონდენტის ამპლუაში იმყოფებოდა. რაც მეტი დრო გადიოდა, სამუშაო სულ უფრო და უფრო მეტ კითხვას, ენთუზიაზმსა და შესაძლებლობას უჩენდა. მისი წიგნების კოლექცია იოლად შეგვიძლია ვიპოვოთ რუსეთში, მეორადი წიგნების რომელიმე მაღაზიაში.

გორეცკი „აფხაზეთს“ პირადი ჩანაწერით ამთავრებს. როდესაც იგი ერევანში, გაერო-ს საპარლამენტო ასამბლეის მიერ ორგანიზებულ პრესკონფერენციაზე ჩადის, უკვე ორმოცსაა გადაცილებული,. სოლიდური ადამიანია, კოსტიუმსა და ჰალსტუხს ატარებს. ბოლო 20 წლის განმავლობაში სტუდენტი ლექტორად იქცა, ხოლო რეპორტიორი აღმოსავლეთის კვლევითი ცენტრის მკვლევარი გახდა. მას უკვე აღარაფრის დაგეგმვა აღარ უწევს. მისი მოგზაურობის ყველა დეტალი წინასწარაა დაგეგმილი — პოლონეთის აეროპორტიდან ერევანში, სასტუმრო „მარიოტში“ დაბინავებამდე. მას უკვე აღარ სჭირდება თემების მოძიება — როგორც კონფერენციის მონაწილე, თავად ადგენს განსახილველ თემებს და ამით თითქოს მახეს უგებს საკუთარ თავს; ამას მაშინ ხვდება, როდესაც „მარიოტის“ წინ სურათებით მოვაჭრე ბიჭს უყურებს.

„ადამიანი ორ სხვადასხვა როლს ვერ ითამაშებს, ორ სხვადასხვა გარემოს ერთმანეთში ვერ შეურევს. არ შეიძლება, ერთდროულად მოხეტიალეც იყო და სოლიდური ადამიანიც. არ შეიძლება, თან „მარიოტში“ გეძინოს და თან რეპორტიორადაც დარჩე“, — აღიარებს გორეცკი.

რამდენიმე ხნის წინ, თავისი მოგზაურობის დასაწყისში, „აფხაზეთის“ პირველი თავის წერისას, განადგურებულ სანატორიუმ „ჩერნომორეცში“ დარჩა, სადაც ალკოჰოლით თბებოდა, კონსერვებით იკვებებოდა და ფიქრობდა, მეორე დღეს გაიღვიძებდა თუ არა. გამოხდა ხანი და უელექტროენერგიო ადგილებიდან მსოფლიო კლასის კომფორტული სასტუმროების ქსელში გადაინაცვლა და ადგილობრივი მცხოვრებლების ისტორიების მოყოლის ნაცვლად, სოციოპოლიტიკური მდგომარეობის ანალიზზე გადავიდა და თუმცა ეს შემაჯამებელი აკორდი, შეიძლება, ცოტათი მწარედაც მოგვეჩვენოს, მაგრამ სწორედ ის არის „აფხაზეთის“, რეპორტიორი გორეცკის ყველაზე ნაყოფიერი ნაშრომის მთავარი ხიბლი.

***New Eastern Europe***

***„ფორეიგნპრესს.გე“***

## ვერსიანიუსი

## ნაფარეულში ფსიქოტროპული წამლების მიღების შედეგად 3 წლის ბავშვი გარდაიცვალა




როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს გარდაცვლილის, პაპამ ალექსანდრე ჭეკურიშვილმა განუცხადა, გოგონა ოთახში მარტო იმყოფებოდა და მამის წამლები დალია.

ბავშვი პაპამ თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა. ალექსანდრე ჭეკურიშვილი არ გამორიცხავს, რომ გოგონას მდგომარეობა ექიმების შეცდომის გამო გაუარესებულიყო.

**„3 იანვარს, ეზოში ვიყავით და სულ რამდენიმე წუთით დავტოვეთ ოთახში ბავშვი. სკამზე მამამისის ფსიქოტროპული წამლები ელაგა და ორი აბი დაულევია. თვითონვე გვითხრა ამის შესახებ. მაშინვე დავრეკე ნაფარეულის სასწრაფო-სამედიცინო სამსახურში, მაგრამ არ მუშაობდნენ, ამიტომ ბავშვი თელავის რეფერალურ საავადმყოფოში წავიყვანე. გოგონა გზაში ძალიან კარგ ხასიათზე იყო. საავადმყოფოში რომ მივედით ცოტა ხანში პირღებინება დაეწყო. ბავშვთა ექიმი იქ არ იყო და მის ჩამოსაყვანად წავედი. საავადმყოფოში რომ დავბრუნდი, გათიშული დამხვდა. ვვარაუდობთ, რომ შესაძლოა, ჩემი წასვლის შემდეგ ბავშვი არ დაემორჩილათ და ან ხელიდან გაუვარდათ, ან ზედმეტი დოზით გაუკეთეს წამალი. 20 დღე თბილისში აპარატზე გვყავდა შეერთებული, მაგრამ ვერაფერი ვუშველეთ“,** — განაცხადა ალექსანდრე ჭეკურიშვილმა.

თელავის რეფერალური საავადმყოფოს დირექტორი გელა ორველაშვილი აცხადებს, რომ გოგონას შესაბამისი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდა. მისი თქმით, ბავშვი საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში მიიყვანეს, რის გამოც რეანიმაციულ განყოფილებაში მოთავსდა, რამდენიმე საათში კი კატასტროფის მედიცინის ცენტრის ბრიგადამ თბილისში გადაიყვანა.

გოგონას პაპის ინფორმაციით, გარდაცვალების მიზეზის დასადგენად ცხედარს ექსპერტიზა ჩაუტარდა და პასუხები რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

***„ჯი-ეიჩ-ენი“***

## სამხრეთ აფრიკის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ქართული კოლექცია იქმნება

საქართველოს საელჩომ ქალაქ პრეტორიაში სამხრეთ აფრიკის ეროვნულ ბიბლიოთეკას ქართული ლიტერატურის ინგლისურენოვანი ნიმუშები გადასცა.

წიგნების გადაცემა 2013 წლის 25 იანვარს, სამხრეთ აფრიკის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე განხორციელდა. მემორანდუმი ითვალისწინებს სამხრეთ აფრიკაში საქართველოს შესახებ ცნობადობის ამაღლებისა და საქართველოს მდიდარი ისტორიისა და ლიტერატურის გაცნობისთვის პრეტორიაში ქართული კოლექციის შექმნას, — აცხადებენ საგარეო საქმეთა სამინისტროში.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მიერ ადგილობრივი ბიბლიოთეკისთვის წიგნების გადაცემა პროექტის მეორე ეტაპია, რომლის ფარგლებშიც ქართული კოლექცია შეივსო ისეთი ნაწარმოებებით, როგორიცაა: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ მარჯორი უორდროპის თარგმანით, კახა შენგელიას „საქართველოს ისტორია“, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოცემა „უძველესი ქართული ხელოვნების ნიმუშები“, ოთარ ჭილაძის „აველუმი“, თამარ ლომიძის „ქართული სამზარეულო და ქართველ ავტორთა ჯგუფის „საქართველოში ფრინველების შესწავლის მეგზური“. ასევე უცხოელ მწერალთა ნამუშევრები საქართველოზე — რონ ასმუსის „პატარა ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო“ და დონალდ რეიფილდის „იმპერიათა საზღვარზე: საქართველოს ისტორია“

როგორც საგარეო უწყებაში აღნიშნავენ, ქართული კოლექციის დაცვასა და პატრონაჟზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩო ზრუნავს და მისი კიდევ უფრო გამრავალფეროვნება უახლოეს მომავალში საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდება. იგეგმება ასევე ეროვნული ბიბლიოთეკების ხელმძღვანელთა ორმხრივი ვიზიტებიც.

***„მედიანიუსი“***

## ნატო რუსეთს უკრაინაზე ზეწოლის გამო აკრიტიკებს



კრიტიკული განცხადება ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა რუსეთის ხელისუფლების მისამართით იმის გამო გააკეთა, რომ ეს უკანასკნელი ევროკავშირთან ხელშეკრულების ხელმოწერამდე უკრაინაზე ზეწოლას ახდენს.

**„უკრაინასთან ევროკავშირის ასოციაციას ევროპული უსაფრთხოებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა და ძალიან მწყდება გული, რომ ამ დოკუმენტს ხელი არ მოეწერა“,** — განაცხადა ანდერს ფოგ რასმუსენმა გაზეთ „ფიგაროსთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

მისივე მოსაზრებით, ევროატლანტიკური ბლოკის გაფართოებაზე რუსეთის დამოკიდებულება „ღიად მტრულია“.

***„მედიანიუსი“***

# ფრთხილად, ძიძა!



## როგორ თაღლითობენ მერი პოპინსის ქართველი კოლეგები

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

**ტექნოლოგიების საუკუნეში თქმა, რომ შვილს დედაზე უკეთ ვერავინ გაზრდის, შეიძლება, ვინმეს ძველმოდურად მოეჩვენოს, მაგრამ ფაქტია, რომ ე.წ. ძიძების ინსტიტუტი საქართველოში ოდითგან არსებობს. აკაკი წერეთლის „ჩემს თავგადასავალზე“ რომ აღარაფერი ვთქვათ, სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისაში“ ვკითხულობთ: „ნადიმად დაჯდა ლეონ. სამი დღე და ღამე წართვით სვა. ჯუმბერ მწდედ დაიყენა, არც დასვა და არც არა აჭამა. ფეხზე დგომითა და შიმშილითა ესრეთ უღონო იქმნა, ქვე დაეცა და შეწუხდა. მერმე უბრძანა დაჯდომა და ჭამა პურისა“. მოკლედ, ძველ საქართველოში სწამდათ, რომ ჯუმბერივით გაწვრთნილს, თუ ბუნებაც უშველიდა, კაცი იქნებოდა კაცური.**

რა ხდება თანამედროვე საქართველოში — არსებობენ თუ არა პროფესიონალი ძიძები, რომელთაც შვილებს თვალისდაუხამხამებლად ვანდობთ? სოციალურ ქსელში შეხვდებით ვიდეორგოლებს, სადაც მომვლელები უსუსურ ბავშვებს სასტიკად უსწორდებიან, მეტიც, თბილისელი ძიძები ჩვილებს, თურმე, მათხოვრებზე აქირავებენ?! ამასთან, არის შემთხვევა, როცა ძიძა ე.წ. დამქირავებლის ბინიდან ძვირფასი ნივთების მოპარვაში ამხილეს... „ვერსიას“ ქალბატონი დაუკავშირდა, რომელმაც გარკვეული მიზეზების გამო, ვინაობის გამხელა არ ისურვა და ასეთი ისტორია გვიამბო:

**„დასავლეთიდან თბილისში მატარებლით მოვდიოდი, ჩემთან ერთად ორი ახალგაზრდა მგზავრობდა, მგონი, დები იყვნენ... ერთი მეორეს ეუბნებოდა, მომკლა იმ ბავშვმა, ძალიან მძიმეა, თავიდან ვწვალობდი — ხელში ვაძინებდი, ყოველ 15 წუთში იღვიძებდა. ამას წინათ, პარკში სეირნობისას მასწავლეს, ყიფლიბანდზე ყინული დაადეო. ჰოდა, ახლა მთელი დღე მიგდებულია, მე კი სერიალებს გემრიელად ვუყურებო... ამის გამგონე, ცუდად გავხდი, ორივე გამოვლანძღე. მოკლედ, მთელი მატარებელი ფეხზე დავაყენე, ახლა ვბრაზობ, პატრული რატომ არ გამოვიძახე... თბილისში ჩამოსულმა ყველაფერი ჩემს ქალიშვილს ვუამბე და გადავწყვიტეთ, ჩემი შვილიშვილის ძიძისთვის სათვალთვალო კამერა დაგვემონტაჟებინა. ერთ საღამოს, კადრების ყურებისას, საშინელ დღეში ჩავცვივდით: ადამიანი, ვისშიც ადრე ეჭვი არ გვეპარებოდა, 9 თვის ბავშვს უმოწყალოდ იმის გამო სცემდა, რომ ბოთლიდან წყალი გადაასხა და იატაკი დაასველა. მერე, ატირებული ბავშვი ლოგინში ჩააგდო და ოთახის კარი გამოიკეტა, ერთი საათი ისმოდა ბავშვის განწირული ტირილი, ძიძა კი იჯდა და ტელევიზორს უყურებდა...“**

ინკოგნიტო ქალბატონის მონათხრობის შემდეგ, „ვერსია“ იმის გარკვევას შეეცადა, რამდენად ხშირია ასეთი შემთხვევა და ერთ-ერთ საშუამავლო სააგენტოს დავუკავშირდა.

**„ჩვენს ძიძებს ბავშვები არასოდეს უცემიათ, თუმცა იყო შემთხვევა, როცა ჩვენგან რეკომენდირებულმა გადიამ პატარა ნაცნობს სამათხოვროდ მიაქირავა. ბავშვი ოჯახის ახლობელმა იცნო, წარმოიდგინეთ, ზამთარში ბავშვს ქუჩა-ქუჩა დაატარებდნენ... მშობლებმა სასამართლოს მიმართეს, გამოძიებასთან ჩვენც ვითანამშრომლეთ... საერთოდ, ძიძობის კანდიდატთა ბიოგრაფიას ყურადღებით ვსწავლობთ, ვთხოვთ სარეკომენდაციო წერილს. მიუხედავად ამისა, უსიამოვნებებისგან დაზღვეულნი მაინც არ ვართ“**, — განაცხადეს საშუამავლო სააგენტოში.

ფსიქოლოგ ლიკა თუშიშვილის თქმით, მხოლოდ ძიძები კი არა, ხშირად მშობლებიც მიიჩნევენ, რომ, რადგან უფროსები არიან, წამორტყმის უფლებაც აქვთ. არადა, საქართველოს კანონმდებლობით, ბავშვზე ფიზიკური ძალადობა — ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას, ასევე ფსიქოლოგიური ძალადობა —შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი ქმედება, რომელიც იწვევს ბავშვის პატივისა და ღირსების შელახვას, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმებით ისჯება.

ასე რომ, ვიდრე გადაწყვეტთ, შვილი უცხო ადამიანს მიაბაროთ და ამაში სოლიდური თანხა გადაიხადოთ, ჯერ დარწმუნდით, რომ მძიმე სოციალური მდგომარეობისა და სხვა ფაქტორების გამო, „მერი პოპინსს“ ნერვული სისტემა მწყობრში აქვს და პირადი პრობლემებით ნერვებმოშლილი ჯავრს თქვენს პატარაზე არ იყრის, თუმცა ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, პატიოსანი ძიძაც ბევრია...

საინფორმაციო მხარდაჭერა
СВОБОДНАЯ
ГРУЗИЯ



### სოფიკო ჭიაურელის ქანდაკების გაძარცვაში ბრალდებული დაკავებულია

ძველი თბილისის სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა 1987 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი დავით ა. ქურდობის ბრალდებით თბილისში, ხერხეულიძის ქუჩაზე დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა 31 იანვარს, გამთენიისას, თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე აღმართული სოფიკო ჭიაურელის სკულპტურული კომპოზიციის შემადგენელი ერთ-ერთი ქანდაკება მოიპარა. სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დავით ა. დანაშაულის ჩადენიდან მეორე დღეს დააკავეს. დაკავებულის საცხოვრებელი სახლის სარდაფის ჩხრეკისას ნაქურდალი სკულპტურა ნივთმტკიცებად ამოიღეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ქურდობის ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

***pia.ge***



### პოლიციამ არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

1980 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი რამილი ა. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-დამზადების ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმუღანლოში, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, არარეგისტრირებული „ა-კა-ემ“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც კუსტარული წესით აქვს დამზადებული ლულა, დგუში და გაზის წვის კამერა, 126 საბრძოლო ვაზნა, 3 მჭიდი და „ეფ 1“-ის ტიპის 2 ხელყუმბარა ამოიღეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-დამზადების ფაქტზე, სსსკ-ს 236-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

***pia.ge***



### კუნძულ სუმატრაზე ვულკანის ამოფრქვევის შედეგად, თოთხმეტი ადამიანი დაიღუპა

გარდაცვლილთა შორის სამი მოსწავლე და მათი მასწავლებელია, რომლებიც მთა სინაბუგზე ექსკურსიაზე იმყოფებოდნენ. მოსწავლეები და მასწავლებელი ვულკანის მიერ ამოფრქვეული ფერფლის შედეგად დაიღუპნენ.

ოფიციალური პირები შიშობენ, რომ მსხვერპლი უფრო დიდია, თუმცა ვულკანის სიმხურვალის გამო მასთან მიახლოება ვერ ხერხდება.

„სინაბუგმა“ სამწლიანი მიძინების შემდეგ, სექტემბერში გაიღვიძა, რის შედეგადაც ათასობით ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა, თუმცა მათი უმეტესობა პარასკევს საკუთარ საცხოვრებელ ადგილს დაუბრუნდა.

***„იტერპრესნიუსი“***

# სუდოკუმანია

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 | | | 6 | 5 | | |
| 3 | 2 | | 4 | | | | 7 | |
| | 6 | | 8 | 3 | | | 1 | 9 |
| 9 | | | | | | 3 | | |
| | 5 | | | 8 | | | 2 | |
| | | 1 | | | | | | 5 |
| 5 | 7 | | | 4 | 1 | | 9 | |
| | 9 | | | | 7 | | 3 | 6 |
| | | 6 | 3 | | | 7 | | |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 1 | | 9 | | |
| 8 | | | 6 | | 4 | 3 | | |
| | 6 | | | | 8 | 5 | | |
| 5 | | | | | | | 9 | |
| | | 2 | 9 | | 7 | 4 | | |
| | 1 | | | | | | | 3 |
| | | 1 | 5 | | | | 6 | |
| | | 6 | 4 | | 3 | | | 9 |
| | | 4 | | 2 | | | | |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 | | 5 | | 9 | | |
| 5 | 8 | | | 1 | | | | |
| 3 | | 9 | | | 6 | | | |
| 2 | 9 | 5 | 6 | | | | 8 | |
| | | | | 8 | | | | |
| | 6 | | | | 1 | 5 | 3 | 9 |
| | | | 4 | | | 8 | | 6 |
| | | | | 3 | | | 1 | 4 |
| | | 2 | | 6 | | 3 | | |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | 2 | | 1 | 6 | | 7 | 5 |
| | 1 | 8 | | 5 | | 6 | | |
| | | | | | 8 | | | 9 |
| | | 3 | | | | | 8 | |
| | | | 5 | | 7 | | | |
| | 9 | | | | | 5 | | |
| 6 | | | 1 | | | | | |
| | | 1 | | 8 | | 9 | 6 | |
| 3 | 5 | | 6 | 7 | | 1 | 4 | |

# ხორბალი ჯანმრთელობას ვნებს?



ხორბლის პროდუქტი დიდ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, — დარწმუნებულია ცნობილი კარდიოლოგი უილიამს დევისი. პრობლემა ისაა, რომ ხორბალი შეიცავს ნახშირწყლებს, რაც ააქტიურებს ქონისწარმომქმნელ ჯირკვლებს, ინსულინის დონეს ზრდის და შეუძლია, კანის პრობლემები გამოიწვიოს: ზედმეტი ცხიმიანობა, გამონაყარი... ახლანდელი პროდუქტი ძალიან განსხვავდება იმ ხორბლისგან, რაც ჩვენს წინაპრებს მოჰყავდათ. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და გენმოდიფიცირებული პროდუქტის წყალობით, დღევანდელ ხორბალში არის სპეციალური ცილა — გლიადინი, რომელიც ტვინზე ზემოქმედებს, მადას აღძრავს და ამის გამო ადამიანს სულ უფრო მეტი კალორიის მიღება სურს.

# უხელებო ქალი მასაჟს აკეთებს



49 წლის სიუ კენი მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მასაჟისტად მიიჩნევა, რომელიც მასაჟს ფეხებით აკეთებს: სიუ დეფორმირებული ხელებით დაიბადა, მაგრამ ამის მიუხედავად, არასოდეს ეწეოდა ჩაკეტილ ცხოვრებას. — ცურავდა, ცეკვავდა, ბალეტზე დადიოდა, ჯირითობდა... ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. სხვადასხვა გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუებში სიუ აღნიშნავს, რომ მხოლოდ ბალეტისა და ვარჯიშის წყალობით გახდა მისი ფეხები ძლიერი და მოძრავი. სახლშიც კი ყველაფერს თავად აკეთებს და დიდად არ მოსწონს, როცა ვინმე მის დახმარებას ცდილობს. მასაჟის გასაკეთებლად მისულ კლიენტებს ყოველთვის აფრთხილებს, რას, როგორ აკეთებს, თუმცა მასთან მასაჟის სეანსზე უარი ჯერ არავის უთქვამს.

# პრეზერვატივებს სამკურნალოდ იყენებენ



სამხრეთ აფრიკის ხანდაზმული მცხოვრებლები უარს ამბობენ ექიმების მიერ გამოწერილ პრეპარატებზე და მათ პრეზერვატივებით ანაცვლებენ, აზრი კი ძალიან მარტივია: ისინი ვარაუდობენ, რომ საცხი, რომელიც ლატექსის პრეზერვატივებში გამოიყენება, ართრიტისას მწვავე ტკივილს დაუამებს. ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემის ინფორმაციით, მოხუცები სახსრებზე ამ საცხს ისვამენ და ამბობენ, რომ ტკივილი მომენტალურად უამდებათ. სხვათა შორის, სამხრეთ აფრიკაში პრეზერვატივებს ხშირად უფასოდ არიგებენ, შიდსთან ბრძოლის პროგრამის ფარგლებში. მედიკოსები კი წუხან, რომ ადგილობრივები პრეზერვატივებს აფუჭებენ, რადგან საცხში ანთებისსაწინააღმდეგო არავითარი ნივთიერება არ არის.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 7 | 1 | 5 | 6 | 4 | 3 | 2 |
| 2 | 4 | 6 | 3 | 9 | 8 | 7 | 5 | 1 |
| 5 | 3 | 1 | 7 | 4 | 2 | 9 | 6 | 8 |
| 7 | 8 | 5 | 4 | 6 | 3 | 2 | 1 | 9 |
| 1 | 6 | 4 | 5 | 2 | 9 | 3 | 8 | 7 |
| 3 | 2 | 9 | 8 | 7 | 1 | 6 | 4 | 5 |
| 4 | 7 | 3 | 2 | 1 | 5 | 8 | 9 | 6 |
| 6 | 5 | 2 | 9 | 8 | 4 | 1 | 7 | 3 |
| 9 | 1 | 8 | 6 | 3 | 7 | 5 | 2 | 4 |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 9 | 5 | 1 | 7 | 4 | 3 | 2 | 8 |
| 4 | 8 | 3 | 2 | 9 | 6 | 7 | 5 | 1 |
| 7 | 2 | 1 | 8 | 5 | 3 | 6 | 9 | 4 |
| 3 | 5 | 4 | 9 | 6 | 8 | 2 | 1 | 7 |
| 2 | 1 | 8 | 7 | 4 | 5 | 9 | 3 | 6 |
| 9 | 7 | 6 | 3 | 2 | 1 | 8 | 4 | 5 |
| 1 | 6 | 2 | 5 | 3 | 7 | 4 | 8 | 9 |
| 8 | 4 | 9 | 6 | 1 | 2 | 5 | 7 | 3 |
| 5 | 3 | 7 | 4 | 8 | 9 | 1 | 6 | 2 |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 6 | 3 | 9 | 8 | 5 | 1 | 7 | 4 |
| 5 | 1 | 7 | 6 | 4 | 3 | 2 | 9 | 8 |
| 9 | 4 | 8 | 7 | 1 | 2 | 3 | 6 | 5 |
| 4 | 8 | 2 | 5 | 9 | 1 | 7 | 3 | 6 |
| 7 | 9 | 6 | 4 | 3 | 8 | 5 | 2 | 1 |
| 3 | 5 | 1 | 2 | 7 | 6 | 4 | 8 | 9 |
| 1 | 3 | 5 | 8 | 6 | 7 | 9 | 4 | 2 |
| 8 | 2 | 4 | 3 | 5 | 9 | 6 | 1 | 7 |
| 6 | 7 | 9 | 1 | 2 | 4 | 8 | 5 | 3 |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 4 | 3 | 1 | 6 | 9 | 8 | 7 | 5 |
| 1 | 5 | 8 | 7 | 4 | 3 | 6 | 2 | 9 |
| 9 | 7 | 6 | 2 | 8 | 5 | 4 | 3 | 1 |
| 8 | 6 | 2 | 5 | 7 | 4 | 1 | 9 | 3 |
| 5 | 3 | 9 | 8 | 2 | 1 | 7 | 4 | 6 |
| 7 | 1 | 4 | 3 | 9 | 6 | 5 | 8 | 2 |
| 6 | 9 | 5 | 4 | 3 | 7 | 2 | 1 | 8 |
| 4 | 8 | 1 | 9 | 5 | 2 | 3 | 6 | 7 |
| 3 | 2 | 7 | 6 | 1 | 8 | 9 | 5 | 4 |

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 4 | 3 | 2 | 1 | 6 | 9 | 8 | 5 |
| 2 | 8 | 1 | 7 | 9 | 5 | 4 | 6 | 3 |
| 5 | 6 | 9 | 8 | 4 | 3 | 2 | 1 | 7 |
| 8 | 3 | 7 | 9 | 6 | 2 | 5 | 4 | 1 |
| 4 | 5 | 2 | 1 | 8 | 7 | 6 | 3 | 9 |
| 1 | 9 | 6 | 5 | 3 | 4 | 8 | 7 | 2 |
| 6 | 2 | 5 | 4 | 7 | 1 | 3 | 9 | 8 |
| 9 | 7 | 4 | 3 | 2 | 8 | 1 | 5 | 6 |
| 3 | 1 | 8 | 6 | 5 | 9 | 7 | 2 | 4 |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 9 | 5 | 6 | 4 | 8 | 7 | 3 |
| 7 | 5 | 8 | 9 | 3 | 2 | 1 | 6 | 4 |
| 4 | 3 | 6 | 1 | 8 | 7 | 5 | 2 | 9 |
| 3 | 4 | 7 | 8 | 5 | 1 | 6 | 9 | 2 |
| 8 | 6 | 2 | 7 | 9 | 3 | 4 | 1 | 5 |
| 9 | 1 | 5 | 4 | 2 | 6 | 7 | 3 | 8 |
| 6 | 9 | 4 | 3 | 1 | 8 | 2 | 5 | 7 |
| 2 | 8 | 3 | 6 | 7 | 5 | 9 | 4 | 1 |
| 5 | 7 | 1 | 2 | 4 | 9 | 3 | 8 | 6 |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 4 | 1 | 9 | 7 | 8 | 5 | 2 | 3 |
| 3 | 9 | 8 | 6 | 5 | 2 | 7 | 4 | 1 |
| 5 | 2 | 7 | 4 | 3 | 1 | 6 | 9 | 8 |
| 7 | 1 | 9 | 8 | 4 | 6 | 3 | 5 | 2 |
| 8 | 3 | 4 | 5 | 2 | 7 | 1 | 6 | 9 |
| 2 | 6 | 5 | 3 | 1 | 9 | 8 | 7 | 4 |
| 4 | 8 | 3 | 2 | 6 | 5 | 9 | 1 | 7 |
| 9 | 7 | 6 | 1 | 8 | 4 | 2 | 3 | 5 |
| 1 | 5 | 2 | 7 | 9 | 3 | 4 | 8 | 6 |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 9 | 6 | 5 | 8 | 4 | 3 | 1 | 2 |
| 3 | 2 | 8 | 7 | 6 | 1 | 5 | 9 | 4 |
| 4 | 1 | 5 | 2 | 3 | 9 | 8 | 7 | 6 |
| 2 | 5 | 4 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 3 |
| 1 | 8 | 3 | 6 | 7 | 5 | 4 | 2 | 9 |
| 6 | 7 | 9 | 4 | 2 | 3 | 1 | 8 | 5 |
| 5 | 6 | 2 | 3 | 1 | 7 | 9 | 4 | 8 |
| 9 | 4 | 1 | 8 | 5 | 6 | 2 | 3 | 7 |
| 8 | 3 | 7 | 9 | 4 | 2 | 6 | 5 | 1 |

მე-13 გვერდი: 1. მონტესუმა; 2. კანტონი; 3. მანდრაგორა; 4. ნიქსონი; 5. ედილი; 6. ანტიგონე; 7. ტავერნა; 8. ნოტი; 9. ონისქსი; 10. გორგონა; 11. ნამიბია; 12. ტავოტი; 13. გორა; 14. აიმაკი; 15. ლეია; 16. კელასური; 17. არგონი; 18. ანოა; 19. ნიკე; 20. გრიმო; 21. გოა; 22. ირმა; 23. ნიამეი; 24. აინი; 25. ალა; 26. რომბი; 27. ბუი; 28. აკვა; 29. ნაი; 30. ფიქრი; 31. ბიგვა; 32. ისტრია; 33. ინოკენტი; 34. მაჯა; 35. ფრანი; 36. ერატო; 37. ფსი; 38. კროლი; 39. ჯალღუზა; 40. აიდა; 41. რადიანი; 42. გლ;ისერი; 43. სენტავო; 44. ტრიო; 45. აღა; 46. არია; 47. „ტარტიუფი“; 48. არიკა; 49. ასი; 50. იდალგო; 51. ბეითალი; 52. კოლაუ; 53. ხაო; 54. ნატურა; 55. უზი; 56. ბრედ; 57. ბოტი; 58. აქტი; 59. დანია; 60. ხეოფსი; 61. დარაია; 62. ჰანოი; 63. ისლამაბადი; 64. საბვეი; 65. ლიტაო; 66. აბო; 67. აუდიტორია; 68. ზრო; 69. ინდი; 70. თაფლი; 71. იოდლი; 72. აბრისი; 73. იუდა; 74. სამურაი; 75. ანგინა; 76. ფა; 77. ადის; 78. ელდორადო; 79. ილფი; 80. ლიე; 81. ამატი; 82. ბაია; 83. დიახ.

მე-16 გვერდი: 1. მარკესი; 2. აეროდრომი; 3. კაკოფონია; 4. სელინ; 5. ათინათი; 6. თავკომბალა; 7. ნორდი; 8. თოხი; 9. დრაკულა; 10. ოფენბახი; 11. იკრა; 12. ინბრიდინგი; 13. კვერცხი; 14. ნარგილე; 15. დრო; 16. პაი; 17. დოფინი; 18. ზმა; 19. დინო; 20. კოფრი; 21. ნაბადი; 22. „ომნია“; 23. ბორნეო; 24. ბრნო; 25. იკი; 26. რეა; 27. რვა; 28. მამონტი; 29. „მაიბახი“; 30. ნოემბერი; 31. აგა; 32. იდები; 33. ადამი; 34. აკიმი; 35. აბი; 36. ინდრა; 37. დაიაენი; 38. ლიბიდო; 39. კახპა; 40. პონი; 41. ბიმი; 42. ნიელო; 43. იგლუ; 44. „იარონ“; 45. „მოამბე“; 46. ვია; 47. ბალადა; 48. ედემი; 49. მადამ; 50. მია; 51. პავლე; 52. ვადა; 53. რაი; 54. ანდროიდი; 55. ხე; 56. ფიორდი; 57. ვო; 58. გიბი; 59. ინდიანა; 60. დო; 61. იო; 62. ავგია.

1. ალპინისტის ფეხსაცმელი
2. თამარ მეფის დედის სახელი
3. თბილისის უბანი
4. აჭარის ერთ-ერთი რაიონი
5. მეცნიერ. ნაშრომის მოკლე წერილობითი გადმოცემა
6. ორკორპუსიანი სატვირთო გემი
7. კედელში ჩატოვებული ამოღრმავებული ადგილი
8. პოლონეთის პარლამენტის სახელწოდება
9. ესპანელი ფეხბურთელი ფერნანდო ...
10. ოპერა „ლელას“ კომპოზიტორი
11. ზებუნებრივი თვისებებით დატვირთული უსულო საგანი
12. დახრილი, ალმაცერი
13. ვარსკვლავთა კრებული
14. რისამე სრულყოფის განსახიერება
15. მინერალური საღებავი, ჟანგმიწა
16. მოულოდნელი შემოწმება
17. მარადიული ქალაქი
18. დაავადების გამომ. მიკრობების შეჭრა ორგანიზმში
19. იაპონური სპორტულ-ლოგიკური თამაში
20. ლათინური ანბანის ბოლო ასო
21. არგონავტების წინამძღოლი
22. რქებდახრილი ხარი
23. დიდი ცხოველის ქვედა კიდური
24. (მუს.) ფორტეზე უფრო ხმამაღლა
25. ელექტრული განმუხტვა ატმოსფეროში
26. შეფასება ძიუდოში
27. მოცვისებრთა ოჯახის მცენარე
28. ტანვარჯიშულ-აკრობატული ვარჯიში
29. გიგანტური ამფითეატრი ძვ. რომში
30. შოტლანდიის ძველი სახელწოდება
31. რაჭის „დედაქალაქი“
32. დაბა ქარელის რაიონში
33. ჯარი, ლაშქარი ძვ. ქართ.
34. რისამე შესწავლა მისი ნაწილებად დაშლის გზით
35. ლიტერატურული ჟანრი
36. მუსიკ. გამის II ნოტი
37. „მილანის“ მეკარე მარკო ...
38. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
39. ნაბოკოვის რომანი
40. ბერძნული ანბანის ბოლო ასო
41. შხამიანი გომბეშო
42. მაგარი ქანი
43. ცხოვრების მომთაბარე წესი
44. ბაღჩეული კულტურა
45. ზიარების დროს ხმარებული ღვინო
46. აიდას მეტოქე ოპერა „აიდაში“
47. მუზეუმში გამოფენილი საგანი
48. კომპოზიტორი ... ბაბაჯანიანი
49. ნახევრად დამშრალი ზღვა აზიაში
50. აშშ-ის ქალაქი ...-ანჟელესი
51. ბრედ პიტი ანჯელინა ჯოლის მიმართ
52. საარჩევნო ყუთი
53. მშვენიერი ელენეს მამა
54. მრავალსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტი
55. ქვეყნის წარსული
56. სასკოლო საგანი
57. ქიმიური ელემენტი, ტუტე მეტალი
58. კურკოვანი ხილი
59. სამიკიტნოს მფლობელი
60. ათენის საფეხბურთო კლუბი
61. ერთმანეთზე მილაგებული ნაკეცები ქსოვილზე
62. აფრიკელთა სატყორცნი შუბი
63. წერილობითი საჩივარი ფეოდალურ საქართველოში
64. ბოჭკოვანი მცენარე
65. ვახტანგ კიკაბიძის მეტსახელი
66. ველური კომში
67. ზევსის ქანდაკების ავტორი
68. (ძვ.) მეფის უკანონო შვილი
69. მარია კალასის სასიმღერო ხმა
70. ჰოლივუდის მსახიობი ... ბრინერი
71. ცხოველის ტყავისგან დამზ. ჭურჭელი ღვინისთვის
72. მწერალი ... კონან-დოილი
73. ამერიკ. ფსიქოლოგი ... კარნეგი
74. მსახიობი ... მერფი
75. ქმრის და
76. ბემოლის ანტონიმი
77. თეატრის კოლექტივი
78. რომელი ქვეყნის დედაქალაქია მონროვია?
79. ესპანეთის ნაკრების ექსფეხბურთ. ... მენდიეტა
80. ყველაზე მსუბუქი მეტალი
81. მხარე, მიდამო
82. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში, დიდი ტბების სისტემაში



# სუროგატი დედების „ქარხანა“ გაიხსნა



ინდოეთის ქალაქ ანანდში მსოფლიოში პირველი ქარხანა გაიხსნა, სადაც ასობით უმუშევარი ინდოელი ქალი ფულს სუროგატი დედობით იშოვის. მომავალ მშობლებს შეუძლიათ იქ გაგზავნონ საჭირო „მასალა“ (სპერმა და კვერცხუჯრედი), შემდეგ კი დანიშნულ დროს ჩავიდნენ ინდოეთში და წაიყვანონ ბავშვი ან ბავშვები. კლინიკის ამოქმედებაში მილიონობით დოლარის ინვესტიცია ჩაიდო — აქ არის კეთილმოწყობილი პალატები და სამშობიარო სახლები, ოფისები, ექტრაკორპორალური განაყოფიერების განყოფილებები, ასევე რესტორნები და საჩუქრის მაღაზიები. სუროგატი დედა ყოველ ბავშვზე, დაახლოებით, 8 ათას დოლარს მიიღებს, მომავალი მშობლები კი 28 ათას დოლარს იხდიან. ამჟამად, კლინიკაში 100-მდე ორსული ქალია.



# ჰოროსკოპი
## 3 თებერვალი

**ვერძი** — ცვლილებებისა და ახალი კონტაქტების დღეა, გამოსწორდება ფინანსური მდგომარეობაც. გათავისუფლდით ვალდებულებებისგან. დღის პირველ ნახევარში წარმატებას შეიძლება ხელი ზედმეტმა სიმკაცრემ შეუშალოს.

**კურო** — გქმლევათ შანსი, გაიუმჯობესოთ ფინანსური მდგომარეობა. მოვლენები სასიკეთოდ ვითარდება და შეგიძლიათ ძალები საქმიანობის სხვადასხვა სფეროში მოსინჯოთ. ენერგეტიკული და შემოქმედებითი პოტენციალი მატულობს.

**ტყუპები** — ოჯახში არსებული სიყვარული და ჰარმონია მატერიალურ მდგომარეობაზეც აისახება. თქვენი თავდაჯერება დაგეხმარებათ, სწორი გადაწყვეტილებები მიიღოთ მნიშვნელოვან საკითხებზე. ნუ შეეცდებით პრობლემის უმალ გადაჭრას, ცხოვრება თავად გიკარნახებთ საჭირო დროს.

**კირჩხიბი** — თქვენი ბიუჯეტი ნელა, მაგრამ მაინც უმჯობესდება. ვარსკვლავები გირჩევენ კონტაქტის დამყარებას საქმიან პარტნიორებთან, თუმცა საბოლოო შედეგი მხოლოდ თქვენს შრომისუნარიანობაზე იქნება დამოკიდებული.

**ლომი** — სასიცოცხლო პოტენციალი არც ისე მაღალია, რაც ხელს უშლის თქვენი ორგანიზატორული ნიჭისა და პროფესიონალიზმის წარმოჩენას. ნუ შეეცდებით, ახლავე დაიპყროთ ახალი მწვერვალები, ვარსკვლავები არც სამსახურის შეცვლას გირჩევენ, რადგან დიდია იმედგაცრუების ალბათობა.

**ქალწული** — არ ღირს რაიმე ახლით დაკავდეთ. სჯობს, ძველი ქაღალდები გადაარჩიოთ, ჩანაწერები მოძებნოთ, რადგან შესაძლოა, ეს ახლა საკმაოდ აქტუალური იყოს. სასიკეთო დღეა პირადი პრობლემების მოსაგვარებლად.

**სასწორი** — კარგი დღეა, თუკი გადაწყვეტთ, დაწყებული საქმე კონკრეტულ შედეგამდე მიიყვანოთ. იზრდება შემოქმედებითი პოტენციალი, თუმცა დღის მეორე ნახევარში, შესაძლოა, პრობლემები ახლობლებთან ურთიერთობაში.

**ღრიანკალი** — რთული დღეა, არასასურველი გარიგების, საყიდლებისა და ურთიერთობების გარკვევისთვის. გაგიჭირდებათ, ფეხი აუწყოთ სამუშაო რიტმს. სჯობს, აზრები მოიკრიბოთ, დღის მეორე ნახევარში კი გადადეთ ყველა ვიზიტი.

**მშვილდოსანი** — ფინანსური მდგომარეობა, შესაძლოა, გაუმჯობესდეს. პასუხისმგებლობის გრძნობა და მათემატიკური აზროვნება წარმატებას მოგიტანთ პროფესიულ საქმიანობაში ან მნიშვნელოვნად აგიმაღლებთ ავტორიტეტს უფროსობასა და კოლეგებში.

**თხის რქა** — დღე, შესაძლოა, ძალიან მძიმე აღმოჩნდეს. მამაკაცებისთვის ახალი ნაცნობობა მეტად ხანმოკლე იქნება. უნდობლობა და ეჭვიანობა ურთიერთობას გაგიფუჭებთ საყვარელ ადამიანთან. დღის მეორე ნახევარში შეგიძლიათ მოდუნდეთ და მეგობრები მოინახულოთ.

**მერწყული** — დღე ემოციურად დაძაბული იქნება, მოსალოდნელია, რაღაც ვერ გათვალოთ საქმეში ან პარტნიორის არჩევაში შეცდეთ, ინტუიციაც გღალატობთ. მოგიწევთ, არჩევანი სასიამოვნოსა და აუცილებელს შორის გააკეთოთ.

**თევზები** — არ არის გამორიცხული, ახალი სამსახური შემოგთავაზონ. ნუ იჩქარებთ დათანხმებას, ყველა პლუს-მინუსი აწონ-დაწონეთ და ნუ წახვალთ გარიგებაზე საკუთარ სინდისთან. დღის მეორე ნახევარი ახლობლებთან გაატარეთ, მათ თქვენი ყურადღება და მზრუნველობა სჭირდებათ.

# მობილურს მაისური დაგიტენით



ტექნიკური პროგრესის წყალობით, მალე შეგვეძლება სანაგვე ყუთში მოვისროლოთ ელექტროსატენი საშუალებები და მობილური ტელეფონები საყვარელი მაისურის წყალობით დავტენოთ. ამერიკელი მკვლევარების ჯგუფმა სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტიდან ჩვეულებრივი ბამბის ქსოვილი სუპერკონდენსატორად აქციეს — მაისური ფტორის ხსნარში დაასველეს და უჟანგბადო კამერაში გააშრეს. ასეთი პროცედურის შემდეგ ქსოვილის ბოჭკოები, ცელულოზას სტრუქტურიდან, გააქტიურებული ნახშირის მდგომარეობაში გადავიდა, მაისურის ფაქტურა კი მტკიცე და ელასტიური დარჩა, ხოლო მისი მეშვეობით მობილურის ან აიპედის დატენვა სავსებით შესაძლებელი იყო. როგორც სწავლულები აცხადებენ, ქსოვილის ტრანსფორმაციის იაფია და არც მავნე ნივთიერებებს წარმოშობს.

# შაშხანის გარეცხვისთვის დასაჯეს



სამხრეთ კორეის სასამართლომ ნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა და საზოგადოებისთვის სასარგებლო 80-დღიანი შრომა მიუსაჯა ჯარისკაცს, რომელმაც შაშხანა Daewoo K-2 სარეცხ მანქანაში გარეცხა: 22 წლის ახალგაზრდას, სამხედრო სამსახურის დასრულებამდე ერთი დღე რჩებოდა, როცა მეთაურისგან მიიღო იარაღის გაწმენდის ბრძანება და ამის გაკეთება „გონებამახვილმა“ ბიჭმა მანქანის მეშვეობით მოინდომა. უცნობია, რა შედეგი მოჰყვა ამ „პროცედურას“, თუმცა, როგორც მოსამართლემ განაცხადა, ჯარისკაცმა თავისი სულელური ქმედებით ბატალიონისა და, ზოგადად, სამხედროების ღირსება შელახა.

# ყავა ასუქებს



თუკი ადამიანი დღის განმავლობაში ხუთ ფინჯან არომატულ სასმელს მიირთმევს, წონაში მომატების რისკი მნიშვნელოვნად იზრდება, — განაცხადეს ავსტრალიის სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა, რომლებმაც აღმოაჩინეს, რომ დღეში ხუთი ჭიქა ყავა შინაგანი ორგანოების გარშემო, ე.წ. ვისცერალური ცხიმის (ცხიმის ყველაზე სახიფათო სახეობა) მოცულობას აორმაგებს, რაც ორგანოების მუშაობას აფერხებს და ეს, თავის მხრივ, სერიოზული დაავადებების მიზეზი ხდება. ყავის ნეგატიურ ეფექტს მასში ქლოროგენის მჟავის არსებობას უკავშირებენ, თუმცა, მკვლევარების თქმით, ზომიერი რაოდენობით, ის სასარგებლოა და შაქრიანი დიაბეტის განვითარებას ეწინააღმდეგება. ექსპერიმენტის ფარგლებში, მკვლევარები ლაბორატორიულ თაგვებს დღეში ხუთ ჭიქა ყავას ასმევდნენ, შედეგად, მღრღნელებს ვისცერალური ცხიმის ორმაგი რაოდენობა უვითარდებოდათ. ასე რომ, ყავის მარგებლობის შესახებ გავრცელებული ცნობების მიუხედავად, დამტკიცდა, რომ ამ ჭარბი რაოდენობით სასმელი ასუქებს.

# კივი ჯანმრთელობას იცავს



კივის სასარგებლო თვისებებმა მკვლევართა ყველა მოლოდინს გადააჭარბა: იაპონელმა სწავლულებმა, გამოკვლევის შედეგად, ერთ-ერთ ყველაზე სასარგებლო ხილად დაასახელეს. ანტიოქსიდანტების რაოდენობის მიხედვით, კივიმ აჯობა ჯანსაღი კვების ისეთ „მონსტრებს“, როგორიც ფორთოხალი, გრეიპფრუტი, ვაშლი და მანდარინია. ტოკიოს უნივერსიტეტის სწავლულებმა საგულდაგულოდ შეისწავლეს კივის ორი ჯიშის თვისებები და დაადგინეს, რომ პოლიფენოლები — ანტიოქსიდანტები, რასაც შეიცავს, სასარგებლოა ორგანიზმისთვის. ექსპერიმენტისას, მოხალისეები დღის განმავლობაში სამ კივის მიირთმევდნენ, რის შემდეგაც ბიოლოგები ორგანიზმში ანტიოქსიდანტების დონეს საზღვრავდნენ. კივის შეუძლია აღკვეთოს ისეთი დაავადებები, რომელსაც დამჟანგავი პროცესები იწვევს.



# ჰოროსკოპი
## 4 თებერვალი

**ვერძი** — შესაძლოა, გააქტიურდნენ კონკურენტები და ოპონენტები, რომლებიც ეცდებიან, ხელი შეგიშალოთ ახალი იდეების განხორციელებაში, თუმცა თქვენი ჯანსაღი აზროვნება, მონდომება და მოლაპარაკების წარმართვის უნარი, ნებისმიერი რთული ვითარებიდან გამოგიყვანთ.

**კურო** — ნებისმიერი საქმე წარმატებით დასრულდება, რაშიც თქვენი პროფესიონალიზმი და მომხიბვლელობაც საკუთარ წვლილს შეიტანს. კარგი დღეა ბიზნესპარტნიორების მოსაძებნად და გადადებული საქმეების დასასრულებლად.

**ტყუპები** — ყურადღება არ მიაქციოთ მოლუშულ და მკაცრ სახეებს. არის შანსი, სწორედ დღეს შეხვდებით თქვენთვის მნიშვნელოვან ადამიანს. სამსახურში არსებულ ყველა პრობლემასა და გაუგებრობას საბოლოოდ, წერტილი დაესმება და პირად ურთიერთობებშიც სიმშვიდის პერიოდი დგება.

**კირჩხიბი** — წარმატება გელით პირად ურთიერთობებში. ძნელი არ იქნება გაწონასწორებული დამოკიდებულების შენარჩუნება ახლობლებთან — ურთიერთგაგება თავისთავად წარმოიშობა. ბიზნესი კი სპონტანური გადაწყვეტილებების მიღებასა და მაქსიმალურ რისკს მოითხოვს.

**ლომი** — ლომებისთვის კარგი დღეა — ნებისმიერი წამოწყება, როგორ უპერსპექტივოდაც უნდა გეჩვენებოდეთ, თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება, თუმცა სასიცოცხლო პოტენციალი შესამჩნევად იკლებს და იზრდება კონფლიქტის რისკიც.

**ქალწული** — ქალწულებს ვარსკვლავები ურჩევენ, ფრთხილად იყვნენ ახალ ნაცნობებთან: ძალიან გაგიჭირდებათ, სწორი წარმოდგენა შეიქმნათ ადამიანებზე. შესაძლოა ფინანსური დანაკარგი, გაუთვალისწინებელი ხარჯი.

**სასწორი** — სწორად ანაწილებთ არსებულ რესურსს — ფინანსებს, დროს, ენერგიას და ამიტომ ყველაფერი გამოგდით, რასაც ხელს მოკიდებთ. დღე კარგია ტაქტიკური და სტრატეგიული საკითხების მოგვარებისთვის. მსხვილი კაპიტალდაბანდებისა და უძრავი ქონების შეძენისგან კი თავი შეიკავეთ.

**ღრიანკალი** — განსაკუთრებით გამახვილებული გაქვთ ინტუიცია, რაც თქვენს სასიკეთოდ უნდა გამოიყენოთ. წარმატებული იქნება გამოძიება, შესაძლოა, ვინმეს საიდუმლო შეიტყოთ და ამით საკმაო თანხაც იშოვოთ. ბოლო პერიოდში ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები დადებით მუხტს შემოიტანს პირად ურთიერთობებში.

**მშვილდოსანი** — კარგი დღეა ახალი, პერსპექტიული, საინტერესო საქმის წამოსაწყებად. შეგიძლიათ, ენდოთ თქვენს პარტნიორებს — ისინი საკუთარ თავზე აიღებენ ყველაზე მოსაწყენ და რთულ საკითხებს, თქვენგან კი მხოლოდ შემოქმედებითი აზროვნებაა საჭირო.

**თხის რქა** — დღის განმავლობაში რთული საქმის შესრულება მოგიწევთ, რაც გამოცდილებასა და ცოდნას მოითხოვს. იზრდება თქვენი ავტორიტეტი და წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში, პირად ცხოვრებაში კი რადიკალური ნაბიჯებისგან თავი შეიკავეთ.

**მერწყული** — შესაფერისი პერიოდია საკუთარ თავზე სამუშაოდ. ძალები ჯეროვნად შეაფასეთ და უკიდურესობას მაქსიმალურად აარიდეთ თავი. გსურთ, სამსახურში მოულოდნელად წარმოქმნილი პრობლემები მალევე მოაგვაროთ, მაგრამ ვარსკვლავები გირჩევენ, თავი შეიკავოთ.

**თევზები** — აქტიური და ენერგიული დღე გელით. საშუალება მოგეცემათ, კარიერაში მწვერვალები დაიპყროთ, მხოლოდ საქმიანი სფერო მკვეთრად გამიჯნეთ პირადისგან და ჩარევის უფლებას ნურავის მისცემთ.

# ს უ დ ო კ უ მ ა ნ ი ა

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | | | 7 | 6 | |
| | | | | | 5 | 2 | | |
| | 6 | | 4 | | | 1 | | 8 |
| | 8 | | | | | | | 2 |
| 2 | | | 8 | | 3 | | | 7 |
| 9 | | | | | | | 5 | |
| 6 | | 1 | | | 4 | | 7 | |
| | | 8 | 7 | | | | | |
| | 7 | 4 | | | 6 | | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | 3 | | 4 | | 5 | | 9 |
| | | 2 | | | | | 3 | |
| | | | | 3 | 5 | | | |
| | | 7 | 2 | 5 | | 1 | | |
| | 8 | | 4 | | 3 | | 7 | |
| | | 9 | | 7 | 1 | 4 | | |
| | | | 5 | 2 | | | | |
| | 1 | | | | | 3 | | |
| 8 | | 4 | | 1 | | 9 | | 6 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 9 | | | | | |
| | 9 | | 1 | 3 | 7 | 2 | 8 | |
| 6 | | | | | 2 | | | |
| | 5 | | | | | 1 | | |
| | 7 | | 3 | | 9 | | 4 | |
| | | 8 | | | | | 2 | |
| | | | 7 | | | | | 8 |
| | 4 | 9 | 2 | 8 | 6 | | 3 | |
| | | | | | 5 | | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | | | | | 7 | 4 |
| 1 | 9 | | | | | 8 | | |
| | | 4 | | 8 | 7 | | | |
| | 5 | | | | | | | 7 |
| | 2 | | 9 | 6 | 4 | | 1 | |
| 9 | | | | | | | 4 | |
| | | | 3 | 4 | | 2 | | |
| | | 8 | | | | | 6 | 5 |
| 2 | 4 | | | | | | 9 | |



# ბინას ლამბორგინიც მოყვება

დუბაის სამშენებლო კომპანიამ Damac Properties გადაწყვიტა, ყოველ კლიენტს, რომელიც ფირმისგან მდიდრულ აპარტამენტებს შეიძენს, ავტომანქანა Lamborghini Aventador აჩუქოს. ეს შეთავაზება ძალაში იქნება დუბაის სავაჭრო ფესტივალის მიმდინარეობისას. საუბარია ოთხოთახიან პენტჰაუსზე Damac Maison-ის ერთ-ერთ ცათამბჯენში, სადაც ბინების ფასი 15 მილიონი დოლარიდან იწყება, უფრო ძვირიანი საცხოვრებლის მყიდველები კი, სამშენებლო კომპანიისგან საჩუქრად კროსოვერ BMW-ს ან ჰეტჩბეკ MINI Cooper-ს მიიღებენ, შეძენილი ფართისა და მისი ღირებულების მიხედვით. მსგავსი აქცია შარშანაც მოქმედებდა — ოთხოთახიანი აპარტამენტების მყიდველებს Audi A6-ს ჩუქნიდნენ, ხოლო ერთსაძინებლიანი საცხოვრებლის მყიდველს — Audi A4-ს.



# მართვის უფლება სათამაშო მანქანით მოძრაობისთვის ჩამოართვეს



ნისლიან ალბიონზე, ქალაქ სტოკ-ონ-ტრენტის პოლიციამ 500 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმა და ერთი წლით მართვის უფლება ჩამოართვა ადგილობრივ მცხოვრებს, რომელიც სათამაშო მანქანით მთვრალი გადაადგილდებოდა. 43 წლის როი ბირდმორმა სამართალდამცავების ყურადღება იმ დროს მიიქცია, როცა შვილისთვის აწყობილი, Volkswagen-ის ფირმის სათამაშო მოდელით შინ ბრუნდებოდა. მანამდე ბრიტანელმა ერთ-ერთ ბარში შეიარა და ალკოჰოლური სასმელიც მიირთვა. პოლიციელებმა გააჩერეს მძღოლი, რომელიც ძლივს ეტეოდა სათამაშო მანქანაში, „მძღოლის“ მიერ მიღებული სპირტიანი სასმელის რაოდენობა კი დასაშვებ ნორმას სამჯერ აღემატებოდა. „დამნაშავემ“ თავიდან ვერაფრით დაიჯერა, რომ პოლიციელები არ ხუმრობდნენ.

# მოგებული ფული „ქარს გაატანა"



უჩვეულო შემთხვევა მოხდა ურუგვაის პოპულარულ კურორტ პუნტა-დელ-ესტეზე — ერთმა ფრანგმა მოგზაურმა დაბადების დღეზე ქალაქის კაზინოში საკმაოდ სოლიდური თანხა — 30 ათასი დოლარი მოიგო, შემდეგ კი პუნტა-დელ-ესტეს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ პაბ „მობი დიკში“ წავიდა, სადაც, დღეობის აღსანიშნავად, მოგებული ფული შენობის მეორე სართულის აივნიდან გადაყარა. რასაკვირველია, ხალხმა სიხარულით აკრიფა მწვანე კუპიურები, მაგალითად, ბარის ჭურჭლის მრეცხავის ბიუჯეტი იმ საღამოს სამი ათასი დოლარით შეივსო, თუმცა დღესასწაულის გმირი ხელგაშლილობამ იქამდე მიიყვანა, რომ სასტუმროში დასაბრუნებლად ფული აღარ დარჩა.

# ყველაზე პატივსაცემი ადამიანები

„მაიკროსოფტის“ დამფუძნებელი ბილ გეითსი მსოფლიოში ყველაზე პატივსაცემი ადამიანია, — ასეთია საერთაშორისო გამოკითხვის შედეგები, რომელიც კომპანიამ You.Gov ჩაატარა ბრიტანული გაზეთის The Times-ისთვის. მეორე და მესამე ადგილები აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტებმა — ბარაკ ობამამ და ვლადიმერ პუტინმა დაიკავეს. ამერიკელები, ყველაზე მეტად, რომის პაპ ფრანცისკით არიან აღფრთოვანებულნი, რომელსაც ორჯერ მეტი ხმა მისცეს, ვიდრე საკუთარ პრეზიდენტს. როგორც კომპანიის სოციოლოგები აღნიშნავენ, გამოკითხვა ერთი თვის წინ რომ ჩატარებულიყო, რეიტინგის სათავეში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი ნელსონ მანდელა მოხვდებოდა. აღსანიშნავია, რომ 30-კაციანი სიის პირველი 16 ადგილი ძლიერი სქესის წარმომადგენლებმა დაიკავეს, მშვენიერი სქესის წარმომადგენლებიდან კი ხალხის აღფრთოვანებასა და პატივისცემას დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედი იმსახურებს (მან მხოლოდ მე-17 პოზიცია დაიკავა), მე-19 ადგილზე აღმოჩნდა ჰოლივუდის ვარსკვლავი ანჯელინა ჯოლი, გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა 26-ე პოზიცია დაიკავა, აშშ-ს ყოფილი პირველი ლედი და სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი კი 27-ზე პოზიციაზეა. გამოკითხვაში 14 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა დიდი ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, რუსეთიდან, აშშ-დან, ავსტრალიიდან, გამოკითხეს ასევე პაკისტანის, ინდოეთის, ინდონეზიის, ჩინეთის, ეგვიპტის, ნიგერიისა და ბრაზილიის მაცხოვრებლებიც.





1. ალფრედ ნობელის გამოგონება
2. ჩინეთის ვალუტა
3. სამხედრო ნადავლი
4. დიდი გარეული ფრინველი
5. ინგლ. სამხ. და პოლიტიკური ლიდერი
6. ძველი კინოფილმების ჩვენება
7. ვალდებულებათა შესრულების შეჩერება
8. იგივეა, რაც სახარება
9. აქლემების მწკრივი
10. ზღვის ნიმფა ბერძნულ მითოლოგ.
11. რიცხვის მეათასედი ნაწილი
12. ქართული დამწერლობა
13. გემის და თვითმფრინავის საჭე
14. დიდი ზომის ქვეწარმავალი
15. კურორტი ჩრდილოეთ კავკასიაში
16. ძვ. ეგვიპტელთა წმინდა ფრინველი
17. იტალიური ფიჭვი
18. მტკიცე პირობა
19. წიწვოვან მცენარეთა წვენი
20. რაიონული ცენტრი სამხ. საქართველოში
21. სუსტი, ერთნახადი არაყი
22. რომეოს გვარი შექსპირის დრამაში
23. სტალინის სახელი
24. სამთო-სათხილამურო კომპ. ყაზახეთში
25. რაგბის ბურთის ფორმა
26. რუსი პოეტი
27. „იუვენტუსის“ ნახევარმცველი
28. მდინარე რუსეთში
29. გასარ. ხასიათის წარმოდგენა
30. ი. ჭავჭავაძის მშობლიური ქალაქი
31. ავტომობ. მოძრაობა მრუდ ხაზზე
32. მსუბუქი თვლემა
33. მსახიობი ... კილმერი
34. ქალის კაბის გრძელი უკანა კალთა
35. მონღოლეთის ვალუტა
36. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი
37. სპორტული ნაწარმის ფირმა
38. ბერძნული ანბანის მე-3 ასო
39. სახალხო კრება ძველ რუსეთში
40. საქართ. ენერგეტიკის მინისტრი
41. დაბალ ზ. გვამი
42. მოსწავ. მაგიდა
43. პეტრარკას სატრფო
44. ვულკანი სიცილიაზე
45. ჟელატინით მომზადებ. დესერტი
46. სოფელი სენაკის რაიონში
47. ღობეზე გადასასვლელი დაბალი ადგილი
48. შებოლილი ხორცი
49. მბრუნავი ღერო, რომელიც მოძრაობას გადასცემს მექანიზმის ნაწილებს
50. (ჟარგ.) სახე
51. ახალგაზ. ქათამი
52. ცხენოსანთა ქვედანაყოფი ძველი რომის არმიაში
53. პალესტინის ექსლიდერი ... არაფატი
54. თბოლ. „დინამოს“ ყოფილი კაპიტანი
55. მდინარე თბილისში
56. სასვენი ნიშანი
57. ეკლიანი ბალახი
58. ფულადი ჯილდო
59. პოეტი ირაკლი ...
60. ერნესტო ... გევარა
61. პროსპექტის სახელწოდება აშშ-ში
62. თხების ჯოგი





ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**



## შიომღვიმე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**



**Appraisal.llc**

**შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,**

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

**ალექსანდრე ფურცელაძე**
**მისამართი: ნუცუბიძის №16ა**
**ტელ.: (5)99 22 98 33**
**ელ-ფოსტა:** a.purtseladze@gmail.com



# ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399



ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.